

**ადამიანით ვაჭრობის
(ტრეფიკინგი)
წინააღმდეგ ბრძოლა
პრაქტიკული სახელმძღვანელო**

თბილისი
2009



წიგნი მომზადებულია პროექტის – „ეფექტური ტექნოლოგიები ინფორმაციასთან მუშაობისა და საზოგადოების ინფორმირებულობის დონის ასაზღაურებლად“ – ფარგლებში.



წინამდებარე დოკუმენტი გამოცემულია ევრო-კავშირის ფინანსური მხარდაჭერით. დოკუმენტში ასახული შესვდულებები არ უნდა იყოს აღქმული, როგორც ევრო-კავშირის ოფიციალური პოზიციის ამსახველი.



ICMPD

International Centre for
Migration Policy Development

მოცემული მასალის გამოცემა განხორციელდა ILO-ICMPD-OSCE-ის „სამხრეთ კავკასიაში ტრეფიკინგის წინააღმდეგ ეროვნული ყოვლისმომცველი რეაგირების პროგრამის შექმნაების“ პროექტის ფარგლებში.



© ქალთა საინფორმაციო ცენტრი

ISBN - 978-9941-0-1721-6

წიგნზე მუშაობდნენ მსხპრტაბი ტრეზიკინების საკითხებში:

ალექსანდრა დელემენჩუკი
ნინო გოგოლაძე

გამოსვლის ხელმძღვანელი:

ელენე რუსეცკი – ქალთა საინფორმაციო ცენტრის კოორდინატორი;
პროექტის ხელმძღვანელი

სარედაქციო ჯგუფი:

თამარ გოგოლაძე

ყდის დიზაინი:

ელენე ნავერიანი

დაკაბადონება:

პაატა მამფორია



დაიბეჭდა „ქალთა პოლიგრაფიული სერვისში“

საქართველო, თბილისი, 0102. წინამძღვრიშვილის ქ. №40.

ტელ./ფაქსი: (995 32) 942 699;

(995 32) 952 934

ელ-ფოსტა: wps@ginsc.net

office@ginsc.net

ვებ-გვერდი: www.wicge.org

აღნიშნული ნაშრომის ელექტრონული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ:
გენდერული საინფორმაციო პორტალის ვებ-გვერდზე www.ginsc.net
და საიტზე www.antitraf.net

შინაარსი

წინასიტყვაობა	5
✎ ელენე რუსეცკი	
ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლა, ღონისძიებათა კომპლექსი	7
✎ ალექსანდრა დელემენჩუკი	
✎ ნინო გოგოლაძე	
ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) პრევენციის ზომები	31
✎ ნინო გოგოლაძე	
მსხვერპლთა დახმარება	47
✎ ალექსანდრა დელემენჩუკი	
დანართი 1. ტიპური კითხვარი	64
საერთაშორისო სტანდარტები და ოქმები	66
ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) სფეროში მომუშავე ორგანიზაციების ნუსხა.	67
ინტერნეტ-რესურსები.	74
ბიბლიოგრაფია	76

წინასიტყვაობა

ღ ელენე რუსეცკი

ადამიანით ვაჭრობა თანამედროვეობის ერთ-ერთი ყველაზე უფრო აქტუალური პრობლემაა. მონობის თანამედროვე ფორმის მსხვერპლი მთელ მსოფლიოში ყოველწლიურად მილიონობით ადამიანი ხდება. ეკონომიკური მიზეზების გარდა, რაც ადამიანს აიძულებს საზღვარგარეთ ან თავისივე ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში ეძებოს სამუშაო, ადამიანით ვაჭრობის ხელშემწყობ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს დასაქმების შესახებ სარწმუნო ინფორმაციის არქონა, საკუთარი უფლებების არცოდნა და გავრცელებული სტერეოტიპები. ამგვარად, დიდი მნიშვნელობა ენიჭება აღნიშნული პრობლემის, როგორც პიროვნების წინააღმდეგ ყველაზე უფრო საშიში დანაშაულის, შესახებ საზოგადოების სრულ და კეთილსინდისიერ ინფორმირებას.

მიუხედავად იმისა, რომ ადამიანით ვაჭრობის შესახებ მასალების რაოდენობა პრესაში, რადიოსა და ტელევიზიაში ათასობით განისაზღვრება, უნდა ითქვას, რომ ეს თემა ჯერ კიდევ არასაკმარისად შექედება. სად მოვიპოვოთ სარწმუნო ინფორმაცია კონკრეტულ რეგიონში არსებული სიტუაციის შესახებ, შესაძლებელია თუ არა ინტერვიუს აღება დაზარალებულთან, რა ფორმითაა უმჯობესი მასალების გადაცემა – ეს არის ნაწილი იმ ამოცანებისა, რომელიც უნდა გადაწყვიტოს პრაქტიკოსმა მუშაობის პროცესში. ნაწილობრივ მის დაძლევაში ესმარება სასწავლო ღონისძიებები, საერთაშორისო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ ორგანიზებული ტრენინგები და სემინარები.

სახელმძღვანელოს შექმნის იდეა, რომელიც პრაქტიკოსებს გაუადვილებდა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის ფარგლებში ინფორმაციასთან მუშაობას, დაიბადა ტრენინგის „ეფექტური ტექნოლოგიები ინფორმაციასთან მუშაობისა და საზოგადოების ინფორმირებულობის დონის

ასამაღლებლად“ ჩატარების შემდეგ, რომელიც შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მხარდაჭერითა და ქალთა საინფორმაციო ცენტრის ორგანიზებით ჩატარდა ქალაქ ბათუმში და რომელშიც მონაწილეობა მიიღო ოცამდე სერვის პროვაიდერმა თბილისიდან და საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან. ტრენინგს უძღვებოდნენ ექსპერტი ტრეფიკინგის საკითხებში ნინო გოგოლაძე და ფსიქოლოგი ალექსანდრე რუსეცკი.

სასელმძღვანელო აგებულია „სამი P“ პრინციპით: ადამიანით ვაჭრობის პრევენცია, მსწვერპლის დახმარება და დამნაშავის დევნა. მოცემული სასელმძღვანელო მოიცავს პრევენციის საკითხებსა და მსწვერპლის დახმარებას, როგორც სამოქალაქო ორგანიზაციების ძირითად ამოცანებს. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის ყოველ კომპონენტზე წარმოდგენილია თეორიული და პრაქტიკული სასიათის შესაბამისი მასალა, რომელიც დაეხმარება მრავალ ჩვენს კოლეგას და შეუმსუბუქებს საჯარო და კონფიდენციალურ ინფორმაციასთან ყოველდღიურ მუშაობას.

დანართში წარმოდგენილია ტექსტში მითითებული ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) პრობლემაზე არსებული ეროვნული და საერთაშორისო საკანონმდებლო აქტები, საქართველოში ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში მომუშავე ორგანიზაციების ჩამონათვალი და მათი ვებ-გვერდების სია. ვიმედოვნებთ, რომ სასელმძღვანელო გააადვილებს მუშაობას ასეთ მნიშვნელოვან თემაზე.

ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლა, ღონისძიებათა კომპლექსი

- ✦ ალექსანდრა დელემენჩუკი
- ✦ ნინო გოგოლაძე

პრობლემის მოკლე მიმოხილვა

„ტრეფიკინგი“ ნიშნავს ადამიანთა გადაბირებას, ტრანსპორტირებას, გადაყვანას, შეფარებას ამ მიღებას, მუქარის, ძალის გამოყენების ან იძულების სხვა საშუალებებით. მოტაცებით თაღლითობით, მოტყუებით, ძალაუფლების ან პირის უმწეობის ბოროტად გამოყენებით ან იმ პირის თანხმობის მისაღწევად თანხის ან სხვა სარგებლის მიცემით ან მიღებით. ვისი დამოკიდებულების ქვეშაც იმყოფება მეორე პირი, ამ ადამიანის ექსპლუატაციის მიზნით¹.

ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ძირითადი სახეები და ექსპლუატაციის ფორმები:


1. ადამიანთ ვაჭრობა (ტრეფიკინგი) შრომითი ექსპლუატაციის მიზნით (მონური შრომა), რომლის მსხვერპლნიც სდებიან მამაკაცები, ქალები და ბავშვები, ნიშნავს მუშაობას არაფორმალურ და ჩრდილოვან ეკონომიკაში, ოჯახურ პირობებში, დამქანცველი სისტემის ფაბრიკებში, ასევე, სამხედრო მოსამსახურეებისა და პატიმართა შრომის იძულებითი გამოყენებას.

¹ ორგანიზებული ტრანსნაციონალური დანაშაულის წინააღმდეგ გაეროს კონვენციის ოქმი (ადამიანების, განსაკუთრებით ქალებისა და ბავშვების ტრეფიკინგის თავიდან აცილების, აღკვეთისა და დასჯის შესახებ), 2003; ის. ბმული: http://www.parliament.ge/files/648_11140_378564_2-geo.pdf.

2. ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი) სექსუალური ექსპლუატაციის მიზნით, რომლის მსხვერპლნი სდებიან ძირითადად ქალები და ბავშვები, მათ შორის:

-  პროსტიტუციის იძულება;

-  სექს-ტურიზმი, მათ შორის საბავშვო სექს-ტურიზმი;

-  პორნოგრაფია – სულ უფრო ფართო გამოყენება ინტერნეტისა და სხვა თანამედროვე ტექნიკური საშუალებების პორნოგრაფიის შექმნისა და გავრცელების, მათ შორის ბავშვთა პორნოგრაფიის მიზნით და ადამიანით ვაჭრობასთან (ტრეფიკინგთან) დაკავშირებული ექსპლუატაციის სხვა ფორმების განსორციელება.

3. ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი) მათხოვრობის იძულების მიზნით. მსხვერპლები, როგორც წესი, სდებიან პირები, რომელთაც არ აქვთ ოფიციალური დასაქმების უფლება: ბავშვები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, მოსუცები.

ეს არის ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) უფრო მეტად გავრცელებული სახეობები. არსებობს ბევრი სხვა სახეობა და ფორმა: ვაჭრობა ბავშვებით, არა მხოლოდ ექსპლუატაციის მიზნით, ქალების იძულება სუროგატი დედის როლის შესასრულებლად, ადამიანით ვაჭრობა ორგანოების ტრანსპლანტაციის მიზნით და ა.შ.

როგორც ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) სახეობები, ექსპლუატაციის ფორმებაც სხვადასხვაგვარია. ექსპლუატაციის უფრო მეტად გავრცელებულ ფორმებს მიეკუთვნება:

1. სექსუალური მომსახურების იძულება, რომელიც სორციელდება მუქარის ან ძალის გამოყენებით, ქალებისა და ბავშვების სამსახურში ფიქტიური დასაქმების ან ფიქტიური ქორწინების ცრუ დაპირებით, შანტაჟით, იმგვარი დაშინებით, როგორცაა მსხვერპლის ნათესავებისთვის ზიანის მიყენება, არალეგალურ მიგრანტთა დეპორტაციით, სელისუფლებისთვის აღნიშნული პირის არაკანონიერი საქმიანობის შესახებ შეტყობინებით, მაგალითად მისი პროსტიტუციით დაკავების შესახებ.
2. იძულებითი შრომა. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) შემთხვევებში მსხვერპლის შრომითი ექსპლუატაციის მიზნით დასაქმების სფეროში მანიპულაცია, მაგალითად, უარი შრომითი სელშეკრუ-

ლების გაფორმებაზე, შრომის იძულება ანაზღაურების პერსპექტივის არარსებობისას, სამსახურიდან წასვლის შესაძლებლობის უკანონო შეზღუდვა (მომსახურეთა უკანონო დაკავება), ყოველივე ამან შეიძლება მიგვიყვანოს იძულებითი შრომის სიტუაციასთან, როცა მომსახურემ იცის, რომ გაქცევის შემთხვევაში მის მიმართ გამოყენებული იქნება ფიზიკური ან სხვა სახის ზემოქმედება (მაგალითად, დეპორტაციის მუქარა). ექსპლუატაცია, როგორც წესი, დამახასიათებელია შემთხვევითი დასაქმების დროს შრომითი ურთიერთობებისთვის ჩრდილოვან ეკონომიკაში.

3. **დოკუმენტების ჩამორთმევას ან დაკავებას** ადგილი აქვს იმ შემთხვევაში, როდესაც მსხვერპლი იძულებულია მოემსახუროს დოკუმენტების ჩამორთმევის მუქარის გამო (პასპორტი, დაბადების მოწმობა).
4. **ჩათრევა ფულად ვალდებულებით კაბალაში.** ფულად ვალდებულებას (ვალში ჩაგდებას), ჩვეულებრივ, ადგილი აქვს იმ შემთხვევაში, როდესაც ადამიანის ვაჭრობით დაკავებული პირი თავის მსხვერპლს აღმოუჩინებს დასმარებას გადაყვანის, საზღვრის უკანონო გადაკვეთის ან სამსახურში მოწყობისას, სოლო შემდეგ ითხოვს ვალის გადახდას მომსახურებით.
5. **თავისუფალი გადაადგილების შეზღუდვა.** ადამიანით ვაჭრობით (ტრეფიკინგით) დაკავებული პირები სშირად უკრძალავენ თავიანთ მსხვერპლს თავისუფალ გადაადგილებას ფიზიკური ანგარიშსწორების ან საბუთების ჩამორთმევის მუქარით. თავისუფალი გადაადგილება ითვლება ადამიანის ერთ-ერთ ძირითად უფლებად.

ექსპლუატაციის ეს მეთოდები სშირად ურთიერთკავშირშია, რამდენადაც ისეთი დანაშაულებრივი ქმედება, როგორც ადამიანით ვაჭრობაა, ითვალისწინებს ექსპლუატაციის მრავალ ფორმას. მოცემული სია ისევე არასრულია, როგორც ადამიანით ვაჭრობის სახეები. მუდმივად ჩნდება ახალი ფორმები, რადგან პირები, რომლებიც დანაშაულებრივი საქმიანობის ამ სახეობით არიან დაკავებულნი, სწრაფად ასდენებ ადაპტირებას მათ საწინააღმდეგოდ გატარებული ზომების, ასევე ცვალებადი სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური პირობების მიმართ.

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) სელშემწყობი მიზეზები მოკლედ შეიძლება ამ სახით ჩამოყალიბდეს:

- ✎ სიღარიბე, რომელიც უზღუდავს მოსახლეობის დიდ ნაწილს კარგი სამსახურის, განათლების, სოციალური მომსახურების სელმისაწვდომობას და ართმევს მათ სწავა შესაძლებლობებს. განსაკუთრებით მაღალია სიღარიბის დონე მიგრანტებს შორის.
- ✎ ჩრდილოვანი ეკონომიკის ფართო მასშტაბს მივყავართ მიგრანტთა იაფი მუშასწავლის მოთხოვნების გაზრდასა და სწავის შრომის ექსპლუატაციის შესაძლებლობის გაჩენასთან.
- ✎ სოციალური ინფრასტრუქტურის სისუსტე სწავს უწყობს არასინდისიერ კონკურენციას, მათ შორის, იაფი შრომის გამოყენების საფუძველზე. ინფრასტრუქტურაში „გარღვევა“ ზრდის მომსახურების მიმზიდველობას, რომელსაც ადამიანით მოვაჭრეები გვთავაზობენ. მაგალითად, ასაკოვან ადამიანებს სთავაზობენ სიცოცხლის უზრუნველყოფასა და დასმარებას, ხოლო სანაცვლოდ ყიდის მათ ბინებს და ტოვებენ უსახლკაროდ.
- ✎ მიგრაციის სფეროში რეგულირების პრაქტიკისა და სამართლებრივი ბაზის დაუსწავლობას მივყავართ არაკანონიერი (დაურეგულირებელი) მიგრაციის ნაკადის ზრდამდე.
- ✎ დისკრიმინაცია სქესის საფუძველზე ჩნდება, მაგალითად, ისეთი ფორმით, როგორცაა არათანაბარი შესაძლებლობა შრომის ბაზარზე. ამგვარ პირობებში ქალებს ემუქრებათ სიღარიბე, მზარდ გენდერულ უთანასწორობას ასევე მივყავართ ოჯახში ძალადობისა და ოჯახური კრიზისის ზრდასთან, რომლის შედეგადაც ქალები კიდევ უფრო მეტად დაუცველ მდგომარეობაში აღმოჩნდებიან.

ტიპური მსხვერპლის დასატვა ადვილი არ არის, მაგრამ შესაძლებელია ზოგიერთი მისი ძირითადი თვისების განსაზღვრა:

1. სოციალურად დაუცველი და სიღარიბეში მცხოვრები პირები განსაკუთრებით ადვილად თანსმდებიან ადამიანით მოვაჭრეთა წინადადებას. ტრეფიკორები იყენებენ ადამიანთა ჩათრევისა და იძულების მოქნილ და საზრიან მეთოდებს და აიძულებენ მსხვერპლებს დათანსმდნენ დამოკიდებულ მდგომარეობაში ყოფნას. მაღალი რისკის ჯგუფს განეკუთვნებიან უმუშევრები, მომსახურეები, რომლებიც იღებენ საარსებო მინიმუმზე დაბალ სელფასს და არასრულყოფილი ოჯახები.
2. ადამიანებმა, რომელთაც აქვთ განათლების დაბალი დონე, როგორც წესი, არ იციან თავისი უფლებები და, შესაბამისად, უფრო ადვილად იღებენ იძულებისა და მოტყუების იმ მეთოდებს, რო-

მელსაც ტრეფიკორები იყენებენ. გარდა ამისა, დაბალი განათლების მქონე პირებისთვის სიღარიბეში აღმოჩენის რისკი უფრო მაღალია, რამდენადაც მათ ნაკლები შესაძლებლობა აქვთ მიიღონ მაღალანაზღაურებადი სამსახური. მიუხედავად იმისა, რომ პირები დაბალი განათლების დონით უფრო მეტი რისკის ქვეშ არიან ვიდრე სხვები, ჩატარებული კვლევები აჩვენებს, რომ ადამიანით ვაჭრობის მსხვერპლები ხდებიან განათლებული ადამიანებიც.

3. არალეგალი მომსახურე-მიგრანტები განსაკუთრებით მოწყვლადები არიან ადამიანით ვაჭრობისათვის, ვინაიდან მათი სამსახურში აყვანის პირობები არ ითვალისწინებს სოციალური დაცვის ჩვეულებრივ ზომებს. უკანონო ემიგრანტებთან მიმართებაში სორციელდება ისეთი ფორმის ექსპლუატაცია, როგორცაა საბუთების ჩამორთმევა, იზოლაცია და თავისუფალი გადაადგილების შეზღუდვა, მუშაობა ანაზღაურების გარეშე ან ანაზღაურების გაურკვეველი პირობებით. ექსპლუატაციის ეს მეთოდები ხშირად უტოლდება მონურ შრომას.
4. პირები, რომლებიც ბოროტად იყენებენ ფსიქოაქტიურ ნივთიერებებს ხშირად ცხოვრობენ სიღარიბეში და უფრო მიდრეკილები არიან მაღალი რისკის ქცევის მიმართ.

ადამიანით ვაჭრობის მსხვერპლად გახდომის ყველაზე დიდი რისკია ქალებსა და ბავშვებში.

ქალებს შორის უფრო მეტად დაუცველნი არიან დაბალი განათლების მქონე ანალგაზრდა ქალები, რომელთაც არ აქვთ სტაბილური შემოსავლის წყარო; მრავალშვილიანი დედები; მარტოსელა დედები; ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ქალები სოციალურად დაუცველი ოჯახებიდან და ქალები, რომლებიც ეწევიან სექსუალურ მომსახურებას.

ბავშვებს შორის მაღალი რისკის ჯგუფში შედიან ბავშვები სოციალურად დაუცველი ოჯახებიდან, ობლები, ბავშვთა სახლის აღსაზრდელები და მშობლების მეთვალყურეობას მოკლებული ბავშვები.

ადამიანით ვაჭრობის ნეგატიური შედეგები:



ადამიანით ვაჭრობის მსხვერპლებს სექსუალური ექსპლუატაციის მიზნით, როგორც წესი, არ აქვთ საკუთარ სწეულზე, სქესობრივ ცხოვრებასა და ჯანმრთელობაზე კონტროლის უფლების შესაძ-

ლებლობა. ადამიანით ვაჭრობის მსხვერპლი ქალები და ბავშვები პრაქტიკულად ვერ აკონტროლებენ პირობებს, რომელშიც ისინი იძულებულნი არიან დათანხმდნენ სქესობრივ კონტაქტს და ამიტომ აივ/შედსით დაავადების რისკი მათთვის გაცილებით მაღალია¹. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვან როლს ასრულებს ასაკობრივი ფაქტორი. რაც უფრო ახალგაზრდაა ქალი, რომელიც სდება ადამიანით ვაჭრობის მსხვერპლი, მით უფრო მაღალია მისი აივ/შიდსით დაავადების რისკი, ბიოლოგიური ფაქტორის, და ასევე იმის გამოც, რომ მათ არ შეუძლიათ თავის დაცვა².



ადამიანით ვაჭრობის მსხვერპლი ბავშვები კიდევ უფრო დიდი რისკის ქვეშ არიან ჯანმრთელობის გამო, რადგან მათი ორგანიზმი ჯერ კიდევ ფორმირების პროცესშია. ხანგრძლივმა იძულებითმა შრომამ ან პროსტიტუციამ შესაძლოა მიაყენოს მათ ფიზიკურ, სოციალურ ან ფსიქოლოგიურ განვითარებას გამოუსწორებელი ზიანი. ადამიანით ვაჭრობის მსხვერპლი ბავშვები და მოზარდები მოკლებულნი არიან შესაძლებლობას მიიღონ განათლება და შეიძინონ საარსებო უნარ-ჩვევები, რომელიც ხელს უწყობს ჯანსაღი ცხოვრების წესს და აყალიბებს სათანადო სოციალურ ქცევას.



სპეციალისტების აზრით ნარკოტიკული საშუალებების ბოროტად გამოყენება მჭიდროდ უკავშირდება ადამიანით ვაჭრობას, როგორც ფაქტორი, რომელიც უბიძგებს ნარკომანებს სარისკო ქცევისკენ და როგორც საშუალება, მსხვერპლის ქცევის გასაკონტროლებლად.

ადამიანით ვაჭრობა წარმოადგენს უპირველეს ყოვლისა ადამიანის უფლების დარღვევას. ამიტომ მის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტური ზომები მოითხოვს აქტიურ მიდგომას ადამიანის უფლებათა პოზიციიდან.

ტრეფიკინგთან დაკავშირებული ბრძოლისა და გაფრთხილების ნებისმიერი ზომა მიმართული უნდა იყოს ამ დანაშაულებრივი ქმედების შედეგად დაზარალებულ მსხვერპლთა უფლებების უსრუნველყოფის, მათი დაცვისა და დახმარების, ასევე, მიყენებული ზარალის ანაზღაურებისათვის. გარდა ამისა

¹ Wennerholm / Canadian Woman Studies / Les Cahiers de la Femme, 2003 Spring-Summer;22(3-4):176-180.

² Trafficking and HIV/AIDS, Jane Gronow and Deborah McWhinney/ Challenging trafficking in persons : theoretical debate & practical approaches / Sector Project against Trafficking in Women (eds.). Baden-Baden: Nomos; Eschborn: gtz, Deutsche Gesellschaft für technische Zusammenarbeit, 2005. 184 p.

ადამიანით ვაჭრობის პრობლემა უნდა გადაიჭრას გენდერული ფაქტორის გათვალისწინებით.

ადამიანით ვაჭრობა დაკავშირებულია ადამიანის უფლებების სხვადასხვა დარღვევასთან. ზოგიერთ შემთხვევაში რომელიმე კონკრეტული ქმედება შესაძლოა იურიდიული თავლსაზრისით სრულად არ შეესაბამებოდეს „ადამიანით ვაჭრობის“ დანაშაულს. ამ შემთხვევებში მნიშვნელოვანია არა უბრალოდ საქმის შეწყვეტა, არამედ პრობლემისთვის უფრო ფართოდ, ადამიანის უფლებების კუთხით შესწავლა და განსაზღვრა, ჰქონდა თუ არა ადამიანის სხვა უფლებების დარღვევა ადგილი. თუ პასუხი დადებითია, მაშინ, საჭიროა საპასუხო ეფექტური ზომების მიღება.

„ზომები, რომელიც ეხება მხოლოდ ქალებს, ყოველთვის არ ითვალისწინებს გენდერულ ფაქტორს. ეს ზომები ხშირად გამომდინარეობს ქალებსა და მამაკაცებს შორის ბუნებრივი განსხვავებულობის გამო, რასაც მიყვავართ დისკრიმინაციული სტერეოტიპების გამყარებასთან და რაც საბოლოოდ ქალებს კიდევ უფრო არასელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს – ადამიანით ვაჭრობის პრობლემის გადასაჭრელად ზომების მიღება სამი ძირითადი მიმართულებით ხდება:

1. პროფილაქტიკა (თავიდან აცილება)
2. მსხვერპლის დაცვა (დახმარება)
3. საისნლის სამართლის წესით დევნა (დევნა)

უფრო მეტი საერთაშორისო აღიარება მოიპოვა „ადამიანით ვაჭრობის“ გაგების განმარტებამ, რომელიც მოცემულია ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენციის „ადამიანების, განსაკუთრებით ქალებისა და ბავშვების ტრეფიკინგის თავიდან აცილების, აღკვეთისა და დასჯის შესახებ“ დამატებით ოქმში. ამ ოქმს ხშირად უწოდებენ უბრალოდ პალერმოს პროტოკოლს.

ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ არსებული საქართველოს კანონმდებლობის მიმოხილვა¹

შესავალი

მიუხედავად იმისა, რომ უკვე დიდი ხანია რაც მსოფლიოში მონობა აიკრძალა, XXI საუკუნეში კვლავაც მწვავედ დგას ადამიანებით ვაჭრობის პრობლემა. თანამედროვე მსოფლიოში ქალები, ბავშვები და მამაკაცები კვლავაც მონობის საფრთხის წინაშე დგანან. საქართველო ერთ-ერთია იმ მრავალ სახელმწიფოთა შორის, რომელიც ადამიანებით ვაჭრობის მსხვერპლთა წარმოშობის, მათი დანიშნულებისა და ტრანზიტის ქვეყნად გვევლინება. საკითხის მნიშვნელობას ისიც უსვამს ხაზს, რომ ადამიანებით ვაჭრობის წინააღმდეგ არა მხოლოდ ცალკეული სახელმწიფოები, არამედ საერთაშორისო ორგანიზაციებიც აქტიურად მუშაობენ. ამაზე ცალკეულ სახელმწიფოებსა და საერთაშორისო დონეზე გაწეული სამუშაოც მიუთითებს. აღსანიშნავია ისიც, რომ ადამიანებით ვაჭრობის წინააღმდეგ მხოლოდ რამდენიმე წლის წინ მოხდა ორი მნიშვნელოვანი ხელშეკრულების შემუშავება, ესენია: *ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ გაეროს კონვენციის ოქმი „ადამიანების, განსაკუთრებით ქალებისა და ბავშვების ტრეფიკინგის თავიდან აცილების, აღკვეთისა და დასჯის შესახებ“* (ე.წ. „პალერმოს პროტოკოლი“), რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ფარგლებში მომზადდა და *ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია*. მიუხედავად იმისა, რომ ეს უკანასკნელი ევროპის საბჭოს მიერ მომზადდა კონვენციის ხელშეკრულს მსარეგულაციო განდობა შესაძლებელია სსვა, ევროპის საბჭოს არაწევრი სახელმწიფოებისთვის.

ადამიანებით ვაჭრობის კრიმინალიზაცია

როგორც უკვე აღინიშნა, საერთაშორისო დონეზე ადამიანებით ვაჭრობის წინააღმდეგ მიმართული მნიშვნელოვანი ნაბიჯი, ე.წ. პალერმოს პროტოკოლის

¹ წინამდებარე თავი ეყრდნობა ეუთოს ადამიანის უფლებებისა და დემოკრატიული ინსტიტუტის ოფისის მიერ დაფინანსებულ კვლევას „მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა ტრეფიკინგის მსხვერპლთათვის საქართველოში“. კვლევა განასორციელა ქ-ნ მერი ჯაფარიძემ (არასამთავრობო ორგანიზაცია კონსტიტუციის 42 მუხლი) 2006-2008 წლებში.

მიღება, მხოლოდ 2000 წ. გადაიდგა. შესაბამისად, გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ იმ დროისთვის საქართველოს კანონმდებლობა ჯერ კიდევ არ იცნობდა ადამიანებით ვაჭრობის დანაშაულს. 2003 წლამდე საქართველოს მთავრობას ამ მხრივ მუშაობა პრიორიტეტულად არ მიაჩნდა. აშშ სახელმწიფო დეპარტამენტის 2003 წ ადამიანთა ვაჭრობის შესახებ ანგარიშში ვკითხულობთ: „საქართველოს მთავრობა ვერ აკმაყოფილებს ტრეფიკინგთან ბრძოლის მინიმალურ სტანდარტებს და არ იღებს შესაბამის ზომებს ამ სტანდარტებთან მისაახლოებლად“¹ სწორედ 2003 წელს დაიწყო საქართველოს მთავრობამ ადამიანებით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლა, როდესაც მოახდინა ტრეფიკინგის კრიმინალიზაცია და ჩამოაყალიბა სამთავრობო უწყებათაშორისი კომისია, რომელსაც ეკისრებოდა ანტი-ტრეფიკინგული საქმიანობის კოორდინირების ფუნქცია.

2003 წელს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსს დაემატა ორი მუხლი 1431 და 1432 - „ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი)“ და „არასრულწლოვნით ვაჭრობა (ტრეფიკინგი)“.

1431 მუხლის თანახმად, ტრეფიკინგს წარმოადგენდა: „ადამიანის ყიდვა ან გაყიდვა, ან მის მიმართ სხვა უკანონო გარიგების განხორციელება, აგრეთვე იძულებით, შანტაჟით ან მოტყუებით ადამიანის გადაბირება, გადაყვანა, გადაძალვა ანდა მიღება ექსპლუატაციის მიზნით“.

ხოლო არასრულწლოვნის ტრეფიკინგად ითვლებოდა (მუხლი 1432): „არასრულწლოვნის ყიდვა ან გაყიდვა, ან მის მიმართ სხვა უკანონო გარიგების განხორციელება, აგრეთვე მისი გადაბირება, გადაყვანა, გადაძალვა ანდა მიღება ექსპლუატაციის მიზნით“.

მიუხედავად იმისა, რომ ეს იმ დროისთვის მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო, სისხლის სამართლის კოდექსში მოცემული ტრეფიკინგის დეფინიცია სრულად არ ასახავდა დანაშაულის ფენომენს და არ შეესაბამებოდა პალერმოს პროტოკოლის მიერ ჩამოყალიბებულ დეფინიციას.

შესაბამისად, აღიშნულ მუხლებში რამდენჯერმე შევიდა ცვლილება. პირველი ცვლილება მხოლოდ ტექნიკური ხარვეზის გასწორებას ისახავდა მიზნად.

¹ აშშ სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიში მსოფლიოში ტრეფიკინგის შესახებ, 2003 (ინილეთ ბმული: <http://www.state.gov/g/tip/rls/tiprpt/2003/21275.htm>).

მეორე ცვლილებით დანაშაულის დამამძიმებელი გარემოებები გადახაწილდა მუსხლის სსვადასსვა ნაწილებში და გაიზარდა სანქციები. მესამე ცვლილებით, რომელიც მიღებულ იქნა 2006 წლის 28 აპრილს, დანაშაულის დისპოზიციას დაემატა დანაშაულის განსორციელების ისეთი მეთოდები როგორცაა: „მუქარით, თავისუფლების უკანონო აღკვეთით, თაღლითობით, ძალაუფლების ბოროტად გამოყენებით“; ასევე ტრეფიკინგად დაკვალიფიცირდა: „საზღაურის ანდა სარგებლის მიცემის გზით იმ პირის თანხმობის მიღწევა, რომელსაც სსვა პირზე ზეგავლენის მოხდენა შეუძლია“ და „ადამიანის დაქირავება, გადაცემა, შეფარება ექსპლუატაციის მიზნით“. გარდა ამისა მუსხლს დაემატა შენიშვნა, რომლის თანახმადაც: „პირის თანხმობას მის წინასწარ ექსპლუატაციაზე მნიშვნელობა არ ენიჭება“.





ბოლო ცვლილება მუსხლმა განიცადა 2006 წლის 25 ივლისს და ამ ცვლილების თანახმად დანაშაულის შემადგენლობას კიდევ დაემატა დანაშაულის განსორციელების ისეთი ხერხები, როგორცაა: „ძალადობით, მოტაცებით და უმწეო მდგომარეობის გამოყენებით“ და ტრეფიკინგად დაკვალიფიცირდა ასევე „ადამიანის ტრანსპორტირება ექსპლუატაციის მიზნით“. სანქციები კვლავ გაიზარდა და ორივე მუსხლს დაემატა შენიშვნა, რომლის თანახმადაც: „ამ მუსხლით გათვალისწინებული ქმედებისათვის იურიდიული პირი ისჯება საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ან ლიკვიდაციით და ჯარიმით“.

დღეისთვის აღნიშნული მუსხლები შემდეგნაირად იკითხება:





მუსხლი 1431. ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი) (25.07.2006 ნ 3530)

1. ადამიანის ყიდვა ან გაყიდვა, ან მის მიმართ სსვა უკანონო გარიგების განსორციელება, აგრეთვე მუქარით, ძალადობით ან იძულების სსვა ფორმით, მოტაცებით, შანტაჟით, თაღლითობით, მოტყუებით, უმწეო მდგომარეობის ან ძალაუფლების ბოროტად გამოყენებით, საზღაურის ანდა სარგებლის მიცემის ან მიღების გზით იმ პირის თანხმობის მისაღწევად, რომელსაც სსვა პირზე ზეგავლენის მოხდენა შეუძლია, ადამიანის გადაბირება, გადაყვანა, გადაძალვა, დაქირავება, ტრანსპორტირება, გადაცემა, შეფარება ანდა მიღება ექსპლუატაციის მიზნით, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით შვიდიდან თორმეტ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ერთი წლის ვადით.



2. იგივე ქმედება, ჩადენილი:

-  დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით ორსული ქალის მიმართ;
-  დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით უძველეს მდგომარეობაში მყოფის ან დამნაშავეზე მატერიალურად ანდა სსვაგვარად დამოკიდებულის მიმართ;
-  სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით;
-  ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ცხრიდან თოთხმეტ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ორი წლის ვადით.

3. იგივე ქმედება, ჩადენილი:

-  არაერთგზის;
-  ორი ან მეტი პირის მიმართ;
-  საზღვარგარეთ გაყვანით;
-  სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით ანდა ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით თორმეტიდან თხუთმეტ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით სამი წლის ვადით.

4. ამ მუხლის პირველი, მე-2 ან მე-3 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება:

-  ჩადენილი ორგანიზებული ჯგუფის მიერ;
-  რამაც გამოიწვია დაზარალებულის სიცოცხლის მოსპობა ან სსვა მძიმე შედეგი, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით თხუთმეტიდან ოც წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით სამი წლის ვადით.

შენიშვნა:

1. კოდექსის ამ და 1432 მუხლების მიზნებისათვის, ექსპლუატაციად მიიჩნევა ადამიანის გამოყენება იძულებითი შრომის ან მომსახურების, დანაშაულებრივ ან სსვა ანტისაზოგადოებრივ ქმედებაში ან პროსტიტუციაში ჩაბმის, სექსუალური ექსპლუატაციის ან სსვა სხვის მომსახურების გაწევის, მონობის მსგავს მდგომარეობაში ან მონობის თანამედროვე პირობებში ჩაყენების მიზნით, აგრეთვე ადამიანის იძულება სსეულის ორგანოს, ორგანოს ნაწილის ან ქსოვილის გადახერგვის ანდა სსვაგვარად გამოყენების მიზნით. ადა-

მიანის მონობის თანამედროვე პირობებში ჩაყენება გულისხმობს მისთვის პიროვნების საიდენტიფიკაციო დოკუმენტების ჩამორთმევას, თავისუფალი გადაადგილების უფლების შეზღუდვას, ოჯახთან კავშირის, მათ შორის, მიმოწერისა და სატელეფონო კონტაქტების აკრძალვას, კულტურულ იზოლაციას, პატივისა და ღირსების შემლახველ პირობებში ანდა ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე ან არაადეკვატური ანაზღაურებით მუშაობის იძულებას. პირის თანხმობას მის წინასწარგანზრახულ ექსპლუატაციაზე მნიშვნელობა არა აქვს.

2. ამ მუხლით გათვალისწინებული ქმედებისათვის იურიდიული პირი ისჯება საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ან ლიკვიდაციით და ჯარიმით.

აღნიშნული ცვლილებების შეტანის შემდეგ, სისსლის სამართლის კოდექსში არსებული დეფინიცია სრულად შეესაბამება ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ გაეროს კონვენციის „აღადმიანების, განსაკუთრებით ქალებისა და ბავშვების ტრეფიკინგის თავიდან აცილების, აღკვეთისა და დასჯის შესახებ“ ოქმსა და ევროპის საბჭოს „აღადმიანებით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ კონვენციაში მოცემულ განმარტებას. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ისიც, რომ საქართველოს სისსლის სამართლის კოდექსი ითვალისწინებს ამ საერთაშორისო აქტებით დადგენილ სტანდარტს, რომლის მიხედვითაც პირის თანხმობას მის წინასწარგანზრახულ ექსპლუატაციაზე მნიშვნელობა არ აქვს¹ და ასევე იმ უმნიშვნელოვანეს საკითხსაც, რომ არასრულწლოვანთა ტრეფიკინგის დროს მნიშვნელობა არ აქვს პირის მიმართ ყიდვა-გაყიდვის ან სხვა უკანონო გარიგების განხორციელების მეთოდის – იძულების, მოტყუების, შანტაჟის და ა.შ. გამოყენებას, როგორც ეს სრულწლოვანი პირების ტრეფიკინგის შემთხვევაში ხდება, და მთავარი მაკვალისფიცირებელი ნიშანი ამ დროს მხოლოდ ექსპლუატაციის მიზანია.

მუხლი 1432. არასრულწლოვნით ვაჭრობა (ტრეფიკინგი) (25.07.2006 ნ 3530)

1. არასრულწლოვნის ყიდვა ან გაყიდვა, ან მის მიმართ სხვა უკანონო გარიგების განხორციელება, აგრეთვე მისი გადაბირება, გადაყვანა, გადაძალვა, დაქირავება, ტრანსპორტირება, გადაცემა, შეფარება ანდა მიღება ექსპლუატაციის მიზნით,

¹ სსკ, კერძო ნაწილი, თავი XXIII, მუხლი 1431.

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით რვიდან თორმეტ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ერთი წლის ვადით.

2. იგივე ქმედება, ჩადენილი:



სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით;



დამნაშავესათვის წინასწარი შეცნობით უმწეო მდგომარეობაში მყოფის ან დამნაშავეზე მატერიალურად ანდა სხვაგვარად დამოკიდებულის მიმართ,

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით თერთმეტიდან თსუთმეტ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ორი წლის ვადით.

3. იგივე ქმედება, ჩადენილი:



არაერთგზის;



იძულებით, შანტაჟით ან მოტყუებით;



ორი ან მეტი არასრულწლოვნის მიმართ;



დაზარალებულის საზღვარგარეთ გაყვანით;



სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით ანდა ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით,

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით თოთხმეტიდან ჩვიდმეტ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით სამი წლის ვადით.

4. ამ მუხლის პირველი, მე-2 ან მე-3 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება:



ჩადენილი ორგანიზებული ჯგუფის მიერ;



რამაც გამოიწვია არასრულწლოვნის სიცოცხლის მოსპობა ან სხვა მძიმე შედეგი,







ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ჩვიდმეტიდან ოც წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით სამი წლის ვადით ანდა უვადო თავისუფლების აღკვეთით.

შენიშვნა: ამ მუხლით გათვალისწინებული ქმედებისათვის იურიდიული პირი ისჯება საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ან ლიკვიდაციით და ჯარიმით.

საქართველოს მიერ ევროპის საბჭოს „ადაშიანებით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ კონვენციის რატიფიცირების შემდეგ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში შევიდა კიდევ ერთი დამატება 1433 მუხლის სა-

ნით, რომელმაც დასჯადად გამოაცხადა ადამიანით ვაჭრობის მსხვერპლის (დაზარალებულის) მომსახურებით სარგებლობა.

მუხლი 1433. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლის (დაზარალებულის) მომსახურებით სარგებლობა (8.05.2007 64706)

1. წინასწარი შეცნობით ამ კოდექსის 1431 და 1432 მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის მსხვერპლის ან დაზარალებული პირის ისეთი მომსახურებით სარგებლობა, რომელიც ამავე კოდექსის 1431 მუხლის თანახმად წარმოადგენს ექსპლუატაციას, ისჯება თავისუფლების შეზღუდვით ვადით ოთხ წლამდე ან თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან ხუთ წლამდე.
2. იგივე ქმედება, ჩადენილი:
 -  არაერთგზის;
 -  დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით ორსული ქალის მიმართ;
 -  დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით უმწეო მდგომარეობაში მყოფის ან დამნაშავეზე მატერიალურად ანდა სხვაგვარად დამოკიდებულის მიმართ;
 -  სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთიდან შვიდ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ორი წლის ვადით.
3. იგივე ქმედება, ჩადენილი:
 -  ორი ან მეტი პირის მიმართ;
 -  სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით ანდა ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით შვიდიდან თორმეტი წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით სამი წლის ვადით.
4. ამ მუხლის პირველი, მე-2 ან მე-3 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი ორგანიზებული ჯგუფის მიერ, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით თორმეტიდან თხუთმეტი წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით სამი წლის ვადით.

აღნიშნული ცვლილებების განხორციელების შემდეგ, სისსლის სამართლის კოდექსში ადამიანებით ვაჭრობის დანაშაულის კვალიფიკაციამ სრული სახე მიიღო და ზუსტად ასახავს ამ მრავალმხრივი დანაშაულის არსს.

დამნაშავეთათვის შეფარდებული სასჯელები, როგორც წესი, ძალზედ მკაცრია. სასჯელის სახით მსჯავრდებულებს ეკისრებათ თავისუფლების აღკვეთა, რომლის ვადა, 2006 წელს სისსლის სამართლის კოდექსში შეტანილი ცვლილებების შედეგად, შვიდიდან თხუთმეტ წელს შეადგენს.

აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სისსლის სამართლის კოდექსი არ ითვალისწინებს იძულებითი შრომის, მონობის ან შრომითი ექსპლუატაციის დასჯადობას, მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის შრომითი ექსპლუატაცია ტრეფიკინგის დანაშაულის არსებითი შემადგენელი ელემენტია. თუმცა, სისსლის სამართლის კოდექსის 169-ე და 170-ე მუხლების თანახმად, დასჯადია „შრომის კანონმდებლობის დარღვევა“ და „შრომის დაცვის წესის დარღვევა“.

მუხლი 169. შრომის კანონმდებლობის დარღვევა

სამუშაოდან უკანონოდ დათხოვნა, სამუშაოზე აღდგენის შესახებ სასამართლო გადაწყვეტილების შეუსრულებლობა ან შრომის კანონმდებლობის სხვა არსებითი დარღვევა,

ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე ან უამისოდ.

მუხლი 170. შრომის დაცვის წესის დარღვევა

1. უსაფრთხოების ტექნიკის ან შრომის დაცვის სხვა წესის დარღვევა ამ წესის დაცვისათვის პასუხისმგებელი პირის მიერ, რამაც გამოიწვია ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე ან მძიმე დაზიანება, ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე.
2. იგივე ქმედება, რამაც გამოიწვია ადამიანის სიცოცხლის მოსპობა, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ხუთ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე ან უამისოდ. (28.04.2006. 62937)

- ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, რამაც გამოიწვია ორი ან მეტი ადამიანის სიცოცხლის მოსპობა, - ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ოთხიდან შვიდ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე (28.04.2006. 62937).

ტრეფიკინგთან ბრძოლის ჩარჩო კანონი

ადამიანებით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლაში გარდამტეხი მოვლენა იყო „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ კანონის მიღება, რომელიც ძალაში 2006 წლის 16 ივნისს შევიდა. მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ კანონპროექტის შექმნაზე მუშაობდნენ როგორც საქართველოს მთავრობის, ასევე არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

კანონი განსაზღვრავს სახელმწიფო პოლიტიკას ადამიანებით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში. კანონი ეფუძნება ე.წ. „3 P“ პრინციპს, რაც გულისხმობს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის პრევენციის, მსხვერპლთა დაცვისა და დანაშაულის სისხლისსამართლებრივი დევნის საქმეების საზღვარსაღარა. კანონით განსაზღვრულია სახელმწიფო ორგანოების კომპეტენცია ტრეფიკინგის თავიდან აცილების სფეროში; ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის მექანიზმები, მსხვერპლთა და დაზარალებულთა სამართლებრივი დაცვა, დახმარება და რეაბილიტაცია – საკანონმდებლო გარანტიებისა და ასევე შესაბამისი სტრუქტურების ჩამოყალიბების გზით. აღსანიშნავია, რომ კანონში მოცემული უფლებები, რომლებითაც ტრეფიკინგის მსხვერპლს შეუძლია ისარგებლოს, თანაბრად ვრცელდება ტრეფიკინგის ყველა მსხვერპლზე, მათი ასაკის, სქესის, წარმოშობის, მოქალაქეობის თუ სხვა ნებისმიერი ნიშნის განურჩევლად. თუმცა, აქვე იმასაც უნდა გეახვას ნაზი, რომ საქართველოს კანონმდებლობა არ შეიცავს კონკრეტულ ნორმებს ტრეფიკინგის არასრულწლოვან მსხვერპლთა დასაცავად.

კანონში მოცემულ უფლებებს ქვემოთ უფრო დეტალურად განვიხილავთ, რათა სრულად იქნას წარმოდგენილი კანონით გათვალისწინებული პირობები.

იდენტიფიკაცია

იმისათვის, რომ მოხდეს ადამიანით ვაჭრობის მსხვერპლის დასაცავად სახელმწიფოში არსებული მექანიზმის ამუშავება, უპირველეს ყოვლისა საჭიროა მსხვერპლის იდენტიფიცირება. კანონით განსაზღვრულია იდენტიფიკაციის ორი გზა:

1. მსხვერპლის იდენტიფიკაცია და მისთვის სტატუსის მინიჭება ტრეფიკინგთან ბრძოლის საკოორდინაციო საბჭოსთან შექმნილი მუდმივმოქმედი ჯგუფის მიერ, და
2. დაწარალებულის სტატუსის მინიჭება მსხვერპლისთვის მაშინ, როდესაც ის თანამშრომლობს სამართალდამცავ ორგანოებთან და დაწყებულია გამოძიება ტრეფიკინგის ფაქტზე¹.

აღსანიშნავია, რომ ორივე გზით იდენტიფიცირებულ მსხვერპლს აქვს თანაბარი უფლება-მოვალეობანი, რაც კანონითაა განსაზღვრული. ამ მხრივ მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ კანონი სასწუალებას აძლევს მსხვერპლს გააკეთოს არჩევანი, ითანამშრომლებს თუ არა სამართალდამცავ ორგანოებთან და გადაწყვეტილების მიუსხვად მიიღოს ადამიანით ვაჭრობის მსხვერპლთა და დაწარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის მიერ გაწეული დახმარება². კანონი განსაზღვრავს მსხვერპლის იდენტიფიკაციის ძირითად დებულებებს, თუმცა უფრო დეტალურად მსხვერპლის იდენტიფიცირების პროცედურა გაწერილია საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 1 თებერვლის ბრძანებულებით „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა იდენტიფიცირების ერთიანი სტანდარტებით და წესით“.

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლება, მოსაფიქრებელი ვადა

აღსანიშნავია, რომ ტრეფიკინგის დანაშაულის მრავალმხრივობიდან გამომდინარე, ხშირად მსხვერპლს ბრალად ედებოდა საზღვრის უკანონოდ გადაკვეთა,

¹ ჩარჩო კანონი, მუსლი 1 და 11

² ჩარჩო კანონი, მუსლები 14, 15, 16, 17, 18, 19, 20 და 21

პირადობის დამადასტურებელი საბუთის გაყალბება. ჩარჩო კანონის მიღების შემდეგ მასში ჩადებულ იქნა შემდეგი მუხლი:

1. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლი, დაზარალებული თავისუფლდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 344-ე (სასელმწიფო საზღვრის უკანონოდ გადაკვეთა) და 362-ე მუხლებით (ყალბი დოკუმენტის, ბეჭდის, შტამპის ან ბლანკის დამზადება, გასაღება ან გამოყენება) და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 1723 (პროსტიტუცია) და 185-ე მუხლებით (საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციისათვის დადგენილი წესების დარღვევით ცსოვრება) განსაზღვრული ქმედებებისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან. მას აგრეთვე არ დაეკისრება პასუხისმგებლობა მართლსაწინააღმდეგო ქმედებაში მონაწილეობისათვის, თუ იგი იძულებული იყო ასე მოქცეულიყო ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლად, დაზარალებულად ყოფნის გამო.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტის დებულებები ვრცელდება ისეთ სამართალდარღვევებზე, რომლებიც პირის მიერ ჩადენილი იყო ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლად, დაზარალებულად ყოფნის გამო ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლის, დაზარალებულის სტატუსის მოპოვებამდე.

კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მუხლის მოქმედება ვრცელდება მხოლოდ იდენტიფიცირებულ მსხვერპლებზე. ამავდროულად მუხლის მეორე პუნქტის თანახმად კი მუხლის მოქმედება ასევე ვრცელდება იმ ქმედებებზე, რომელიც ჩადენილი იყო მანამ, სანამ პირს მსხვერპლის/დაზარალებულის სტატუსი მიენიჭებოდა. ასევე უნდა აღინიშნოს ის, რომ მსხვერპლის პასუხისმგებლობისაგან გასათავისუფლებლად საჭიროა მართლსაწინააღმდეგო ქმედება ჩადენილი იყოს მსხვერპლად ყოფნის გამო. ჩარჩო კანონის მე-12 მუხლის თანახმად:

1. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლს უფლება აქვს ისარგებლოს მოსაფიქრებელი ვადით – არანაკლებ 30 დღისა, რათა მიიღოს გადაწყვეტილება, სურს თუ არა, ითანამშრომლოს სამართალდამცავ ორგანოებთან შესაბამის დანაშაულზე სისხლის სამართლის პროცესის განხორციელებაში.
2. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლი მოსაფიქრებელი ვადის განმავლობაში თავისუფლდება საქართველოს სისხლის სა-

მართლის კოდექსის 371-ე მუხლით გათვალისწინებული პასუხის-
მგებლობისაგან¹.

კონფიდენციალურობა

აღაძიანიტ ვაქრობის მსწვერპლის კონფიდენციალურობა უმნიშვნელოვანესი საკითხია მისი დაცვისათვის. თუ ვავითვალისწინებთ, რომ მსწვერპლს სშირად საფროთსე ემუქრება ტრეფიკერის მსრიდან და იმასაც, რომ სშირად მსწვერ-
პლობა სტიგმასთან არის დაკავშირებული, ვნასავთ თუ რამდენად მნიშ-
ვნელოვანია ასეთი ინფორმაციის კონფიდენციალურობა. ამავე დროს ისიც
გასათვალისწინებელია, რომ ინფორმაციის კონფიდენციალურობა ერთ-ერთი
წინაპირობაა მსწვერპლის წარმატებული რეინტეგრაციისათვის, რადგან მას
არ მოუხდება საზოგადოებაში თავის წარსულზე მცდარი ინფორმაციის გა-
ნეიტრალეებაზე ზრუნვა. მსწვერპლის მონაცემთა კონფიდენციალურობა აღი-
არებული და დაცულია ყველა იმ ნორმატიული აქტიტ, რომელიც ტრეფი-
კინგს შეესება. ჩარჩო კანონის 14.8 მუხლის თანახმად: „აღაძიანიტ ვაქრობის
მსწვერპლთა, დაზარალებულთა და მოწმეთა ვინაობა, მისამართები და სსვა
პერსონალური ინფორმაცია საიდუმლო ინფორმაციაა და მისი გამჟღავნება
აკრძალულია, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა“. რაც შე-
ენება მსწვერპლის მონაცემთა დაფარვას საზოგადოებისგან, როგორც წესი,
მსწვერპლის მონაცემები და სისსლისსამართლებრივი პროცესის მიმდინარეობა
არ არის საჯარო, რადგან პროცესის მონაწილეთა გარდა საქმის მასალების
გაცნობის უფლება მესამე პირებს არა აქვთ, სოლო სასამართლო სსდომა შე-
იდლება დაისუროს დაზარალებულის შუამდგომლობით.








მსწვერპლის საცხოვრებლიტ და ქვეყნის ტერიტორიაზე ლეგალურად ცხოვრების უფლებით უზრუნველყოფა (თავშესაფარი, ბინადრობის მოწმობა)

როდესაც ვსაუბრობთ მსწვერპლის რეინტეგრაციასა და რეაბილიტაციაზე,
უპირველეს ყოვლისა მნიშვნელოვანია მსწვერპლისათვის უსაფროთსო თავშე-
საფრის უზრუნველყოფა და თუკი მსწვერპლი სსვა ქვეყნის მოქალაქეა, მის-

¹ მოწმის ან დაზარალებულის მიერ ჩვენების მიცემაზე უარის თქმა.

თვის ქვეყნის ტერიტორიაზე ლეგალური ყოფნის უზრინველყოფა. ეს კი თავის მხრივ, ხელს უწყობს, რომ მსხვერპლმა თავი დაცულად და უსაფრთხოდ იგრძნოს. ნაზგასახმელია ისიც, რომ უსაფრთხო თავშესაფარი ერთ-ერთი წინაპირობაა მსხვერპლის რეაბილიტაციისა და რეინტეგრაციისათვის.

ჩარჩო კანონით გარანტირებულია მსხვერპლის უფლება, ისარგებლოს თავშესაფრით¹. თავშესაფარში მსხვერპლი უზრუნველყოფილია:

-  ღირსეული არსებობისათვის შესაფერისი, უსაფრთხო საცხოვრებელი ადგილით;
-  საკვებით და ტანსაცმლით;
-  სამედიცინო დახმარებით;
-  ფსიქოლოგიური კონსულტაციით;
-  იურიდიული დახმარებით და სასამართლო წარმომადგენლობით;
-  თარჯიმნის მომსახურებით;
-  რეაბილიტაციისა და ოჯახსა და საზოგადოებაში ინტეგრაციის მოკლე და გრძელვადიან პროგრამებში მონაწილეობით.

რაც შეეხება უცხოელი ტრეფიკინგის მსხვერპლის ქვეყნის ტერიტორიაზე ლეგალურად ყოფნის უფლებას, ჩარჩო კანონის მე-20 მუხლის და ასევე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის შესაბამის მუხლში შეტანილი ცვლილებების თანახმად: „ადამიანით ვაჭრობის მსხვერპლი, დაზარალებული, რომელიც არის უცხო ქვეყნის მოქალაქე ან მოქალაქეობის არმქონე პირი, თავისუფლდება საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციისათვის დადგენილი წესების დარღვევით ცხოვრებისთვის დადგენილი პასუხისმგებლობისგან.“ ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად „დაუშვებელია მოსაფიქრებელი ვადის განმავლობაში საქართველოდან იმ უცხოელის გაძევება, რომლის შესახებაც არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი, რომ იგი შეიძლება იყოს ადამიანით ვაჭრობის მსხვერპლი, დაზარალებული.“ შესაბამისი ცვლილებები შეტანილია ასევე „უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ კანონშიც. ჩარჩო კანონით და „უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ კანონით გათვალისწინებულია ტრეფიკინგის მსხვერპლთათვის ბინადრობის მოწმობის გაცემა. ამ კანონების თანახმად, „თუ უცხოელი, რომლის შესახებაც არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი, რომ იგი შეიძლება იყოს ადამიანით ვაჭრობის მსხვერპლი, დაზარალებული გადაწყვეტს, სისხლის სამართლის პროცესში შესაბამის დანაშაულზე ითანამშრომლოს სა-

¹ ჩარჩო კანონი, მუხლები 11.2 და 18.1

მართლდამცავ ორგანოებთან, მას სისხლის სამართლის პროცესის ან/და სამოქალაქო პროცესის დასრულებამდე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ეძლევა ბინადრობის მოწმობა. ამ პერიოდის განმავლობაში მას აგრეთვე უფლება აქვს იმუშაოს საქართველოს ტერიტორიაზე. ტრეფიკინგის მსხვერპლზე დროებით ბინადრობის ნებართვას გასცემს და აგრძელებს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს შესაბამისი სამსახური ადამიანით ვაჭრობის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულების ან პროცესის მწარმოებელი ორგანოს შუამდგომლობის საფუძველზე“.

რეპატრიაცია

მოსაფიქრებელი ვადის გასვლის ან სისხლის სამართლის პროცესის დასრულების შემდეგ სასჯელმწიფო იღებს სათანადო ზომებს უცხოელი ტრეფიკინგის მსხვერპლის მისი წარმოშობის სასჯელმწიფოში უსაფრთხო დაბრუნებისათვის. გარდა ამისა, მსხვერპლს სთავაზობენ საქართველოში დარჩენასაც.

ჩარჩო კანონის თანახმად, „საქართველოს საკონსულო დაწესებულებები და დიპლომატიური წარმომადგენლობები თანამშრომლობენ საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და სხვა შესაბამის სასჯელმწიფო ორგანოებთან, რათა ადამიანით ვაჭრობის მსხვერპლზე, დაზარალებულზე უმოკლეს ვადაში გასცენ პირადობის მოწმობა ან/და საქართველოში დასაბრუნებელი მოწმობა. ადამიანით ვაჭრობის მსხვერპლთა, დაზარალებულთა უსაფრთხო და ნებაყოფლობითი დაბრუნების მიზნით საქართველოს სასჯელმწიფო ორგანოები თანამშრომლობენ ასევე უცხო ქვეყნის შესაბამის ორგანოებთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან და არასამეწარმეო იურიდიულ პირებთან“.¹

უცხოელი მსხვერპლის სამშობლოში დაბრუნების პროცესში, ძირითადად, ჩართულნი არიან ფონდისა და მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლები.

¹ ჩარჩო კანონი, მუსლი 21.

კომპენსაცია

ტრეფიკინგის მსხვერპლთათვის კანონით გარანტირებულია კომპენსაციის მიღების უფლება მათ მიერ განცდილი მორალური, ფიზიკური თუ მატერიალური ზარალის გამო¹.

საკოორდინაციო საბჭოს შემუშავებული აქვს ინსტრუქცია „ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთათვის კომპენსაციის გაცემის წესისა და ოდენობის შესახებ“. ამ ინსტრუქციის თანახმად: „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლს, დაზარალებულს უფლება აქვს მოითხოვოს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის შედეგად მიყენებული ფიზიკური, მორალური ან ქონებრივი ზიანის ანაზღაურება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო და სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით“. სოლო თუ შეუძლებელია მიყენებული ზიანის ანაზღაურება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო და სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით, მსხვერპლს, დაზარალებულს შეუძლია ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდიდან მიიღოს კომპენსაცია – 1000 ლარის ოდენობით².

მნიშვნელოვანია რომ, საკომპენსაციო თანხის გაცემა დამოკიდებული არ არის მსხვერპლის/დაზარალებულის სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობაზე.

2006 წლის 7 დეკემბერს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში საკმაოდ მნიშვნელოვანი ცვლილება იქნა შეტანილი. ცვლილება მოიცავს თავს „წარმოება ადამიანით მოვაჭრის ქონების ჩამორთმევასა და სახელმწიფოსათვის გადაცემასთან დაკავშირებით“. ამ ცვლილების თანახმად პროკურორს ენიჭება უფლება, აღძრას სამოქალაქო სარჩელი ადამიანით მოვაჭრის ქონების ჩამორთმევისა და სახელმწიფოსათვის გადაცემის თაობაზე ადამიანით მოვაჭრის, მისი ოჯახის წევრის, ანლო ნათესავის ან ადამიანის მოვაჭრესთან დაკავშირებული პირის წინააღმდეგ. სასამართლო ქონებას ცნობს უკანონოდ და დაუსაბუთებლად თუ შემოჩამოთვლილი პირები ვერ წარმოადგენენ ამ ქონების მართლწომიერი საშუალებით მიღების დამადასტურებელ დოკუმენტს ან სხვა

¹ ჩარჩო კანონი, მუსლი 16.

² ჩარჩო კანონი, მუსლი 16.2.

მტკიცებულებას. ქონების უკანონოდ და დაუსაბუთებლად ცნობის შემთხვევაში, იგი ჩამოერთმევა ზემოჩამოთვლილ პირებს და მესამე პირთა ინტერესების (ამ შემთხვევაში ტრეფიკინგის მსხვერპლთა) დაკმაყოფილების შემდეგ გადაეცემა სახელმწიფოს¹. ეს ცვლილება მნიშვნელოვანი წინაპირობაა ტრეფიკინგის დანაშაულის პრევენციისათვის და ამავე დროს შეიძლება იქცეს სახელმწიფოსათვის ადამიანებით ვაჭრობის მსხვერპლთა დანშარების, რეინტეგრაციისა და რეაბილიტაციის პროგრამების დაფინანსების წყაროდაც კი.

რეაბილიტაცია და რეინტეგრაცია

მსხვერპლის დაცვის და დანშარების ბოლო ეტაპი არის მისი რეაბილიტაცია და საზოგადოებაში რეინტეგრაცია, რათა იგი კვლავ არ გახდეს ტრეფიკინგის მსხვერპლი და ჰქონდეს ღირსეული ცხოვრებისთვის შესაფერისი პირობები.

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმასრვლებელი საუწყებთაშორისო საკოორდინაციო საბჭოს მიერ მომზადებულ იქნა ადამიანით ვაჭრობის მსხვერპლთა რეაბილიტაციისა და საზოგადოებაში რეინტეგრაციის სტრატეგია (შემდგომში „სტრატეგია“), რომელიც დამტკიცებულ იქნა 2007 წლის 19 ივლისს. ამ სტრატეგიის მიხედვით მსხვერპლთა რეაბილიტაციასა და რეინტეგრაციაში მონაწილეობენ როგორც სახელმწიფო სტრუქტურები, ისე არასამთავრობო ორგანიზაციები. სტრატეგიის თანახმად, *„რეაბილიტაცია“* ნიშნავს: *ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლი/დაზარალებული პირისათვის თავშესაფარში და მის ფარგლებს გარეთ გაწეული მომსახურების, უფასო სამედიცინო და ფსიქოლოგიური დახმარების შედეგად მისი ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის აღდგენას.*

„რეინტეგრაცია“ ნიშნავს: *ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლი/დაზარალებული პირისათვის გაწეული დახმარების შედეგად მის ოჯახში და/ან ჩვეულ საზოგადოებრივ ცხოვრებაში ღირსეულ დაბრუნებას და სოციალური ფუნქციონირების ამაღლებას (უნარ-ჩვევების მიცემას, რაც მას ხელს შეუწყობს სამსახურის მოძიებაში, ა.შ).*

რეაბილიტაციის პროცესი იწყება მსხვერპლი/დაზარალებული პირისათვის შესაბამისი სტატუსის მინიჭების მომენტიდან. სოციალური მუშაკისა და მსხვერ-

¹ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 3565.

პლი/დაზარალებული პირის მიერ დგება საზოგადოებაში რეინტეგრაციის პირველადი გეგმა, რომელსაც სოციალური მუშაკი დასამტკიცებლად წარუდგენს ფონდს. არსებული რესურსების გათვალისწინებით, ფონდთან შეთანხმებით, დგება რეაბილიტაციის საბოლოო გეგმა¹. მსწვერპლთა/დაზარალებულთა რეაბილიტაციისა და რეინტეგრაციის პროცესს საქართველოს სელისუფლების სახელით წარმართავს ფონდი. მსწვერპლის საზოგადოებაში რეინტეგრაცია სორციელდება თორმეტი თვის განმავლობაში. რეაბილიტაციის და რეინტეგრაციის პროცესში მსწვერპლს მიეწოდება ყველა იმ სერვისის ჩამონათვალი, რომელსაც ადგილობრივი არასამთავრობო თუ სამთავრობო ორგანოები ასორციელებენ, იქნება ეს დროებითი დასაქმება თუ გარკვეული უნარ-ჩვევების შესწავლა, ტრენინგები და ა.შ. ფონდი შეიმუშავებს და შესაძლებლობის ფარგლებში აფინანსებს ისეთ მომსახურებას, რომლებიც ადგილობრივი არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ უზრუნველყოფილ მომსახურებასთან ერთად ქმნიან რეაბილიტაციისა და საზოგადოებაში რეინტეგრაციისათვის საჭირო მომსახურების სრულ პაკეტს. ფონდის მიერ დასაფინანსებელი მომსახურება განისაზღვრება რეინტეგრაციის ინდივიდუალური გეგმით გათვალისწინებული საჭიროების შესაბამისად, ერთ მსწვერპლზე/დაზარალებულზე არაუმეტეს 2000 ლარის ოდენობით².

¹ სტრატეგია, მუსლი 3.

² სტრატეგია, მუსლები 3, 4 და 5.

ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) პრევენციის ზომები

✎ ნინო გოგოლაძე

ღღევანდელ მსოფლიოში უამრავი ქალი, ბავშვი და მამაკაცი სდება ადამიანებით ვაჭრობის მსხვერპლი. ისინი სდებიან იძულებითი შრომის, სექსუალური ექსპლუატაციის ან ორგანოებით ვაჭრობის მსხვერპლნი. ადამიანებით ვაჭრობის წინააღმდეგ საბრძოლველად საქიროა სახელმწიფოების ერთობლივი ძალისხმევა და კოორდინირებული მოქმედება. როგორც წინა თავში აღინიშნა, ძალიან მნიშვნელოვანია ის საერთაშორისო ხელშეკრულებები, რომლებიც მიღებულ იქნა გაეროსა და ევროპის საბჭოს მიერ.

ადამიანებით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლისათვის აუცილებელია არა მხოლოდ დამნაშავეთა დასჯა, არამედ საზოგადოების ინფორმირება და დანაშაულის პრევენცია. თუკი გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ზოგჯერ ადამიანით ვაჭრობის მსხვერპლი არ არის ინფორმირებული თუ რა დანაშაულის მსხვერპლი გახდა, მაშინ, აშუარა გახდება თუ რამდენად მნიშვნელოვანია მოსახლეობისათვის ინფორმაციის მიწოდება ადამიანით ვაჭრობის შესახებ. განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს ამ პროცესში რისკ ჯგუფების სწორ იდენტიფიკაციას, რათა ზუსტად მოხდეს მათთვის საჭირო ინფორმაციის მიწოდება.

ადამიანებით ვაჭრობის კონტექსტში პრევენცია ნიშნავს ისეთი ღონისძიებების გატარებას, რომელთა მიზანია ხელი შეუშალონ ადამიანებს ტრეფიკინგის მსხვერპლად გახდომაში. ასეთი ღონისძიებები არ გულისხმობენ ტრეფიკინგის წინააღმდეგ ფართომასშტაბიან ღონისძიებებს, როგორცაა სისხლის სამართლებრივი დევნა ან მსხვერპლისათვის დახმარების გაწევა. პრევენცია უმნიშვნელოვანესია გრძელვადიან პერსპექტივაში ადამიანებით ვაჭრობის წინააღმდეგ საბრძოლველად. ამავე დროს, პრევენცია გრძელვადიან პერსპექტივაში

ეკონომიკურად ყველაზე ეფექტურია, როგორც აჩვენა აზიაში ჩატარებულმა კვლევამ (Gupta et al., 2004). ადამიანებით ვაჭრობის პრევენციის მნიშვნელობა უფრო იზრდება თუ გავითვალისწინებთ, რომ წარმატებულმა პრევენციამ, შეიძლება ბევრ ქალს, ბავშვსა და მამაკაცს თავიდან აარიდოს ტრეფინგის მსხვერპლობის უბედურება.¹

ადამიანით ვაჭრობის დანაშაულის პრევენცია მიზნად ისახავს დანაშაულის რაოდენობის შემცირებას საზოგადოების ინფორმირების და იმ სოციალური წინაპირობების გაუმჯობესებით, რომლებიც შეიძლება იწვევდეს ადამიანებით ვაჭრობის დანაშაულის რაოდენობის ზრდას. პრევენციის ერთ-ერთი ეფექტური საშუალება მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებაა პრობლემასთან დაკავშირებით. იმის გამო, რომ ხშირად ადამიანებით ვაჭრობის მსხვერპლი ექსპლუატაციაში საკუთარი ქვეყნის საზღვრებს გარეთ სვდება, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ასევე მოსახლეობისათვის სავარაუდო დანიშნულების სახელმწიფოების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას.

მიზანი

წინამდებარე სახელმძღვანელო განკუთვნილია ადამიანებით ვაჭრობის პრევენციისათვის გამიზნული ერთდღიანი კურსისთვის. სამიზნე ჯგუფის სპეციფიკიდან გამომდინარე მნიშვნელოვანია განისაზღვროს მისთვის საჭირო ინფორმაცია, რათა მოხდეს მოცემულ თავში წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისი ადაპტაცია.

კურსის მიზანია მონაწილეებს აუხსნას:

1. რას ნიშნავს ადამიანებით ვაჭრობა
2. როგორ შეიძლება ადამიანით ვაჭრობის დანაშაულის პრევენცია
3. როგორ შეიძლება მასშედიის გამოყენება დანაშაულის პრევენციისათვის
4. როგორ შეიძლება ინტერნეტ-რესურსების გამოყენება

¹ Rosenberg, Ruth, 'Best Practices for Programming to Prevent Trafficking in Human Beings in Europe and Eurasia', report made through support provided by the Office of Women in Development, Bureau for Economic Growth, Agriculture, and Trade (EGAT/WID), USAID, September 2004.

<http://www.vitalvoices.org/files/docs/Prevention%20assessment%20Report-formatted%20CAS1.pdf>.

5. რა პრობლემებთან არის დანაშაულის პრევენცია დაკავშირებული
6. საერთაშორისო პრაქტიკის განხილვა
7. შექმნან ადამიანებით ვაჭრობის პრევენციისათვის გამიზნული პროექტი.

ნაწილი I

რას ნიშნავს ადამიანებით ვაჭრობა

გაეროს მიერ 2000 წ. მიღებული კონვენცია „ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ“ და ოქმი „ადამიანების, განსაკუთრებით ქალებისა და ბავშვების, ტრაფიკინგის თავიდან აცილების, აღკვეთისა და დასჯის შესახებ“ ადამიანებით ვაჭრობას (ტრაფიკინგს) შემდეგნაირად განსაზღვრავს: „ტრაფიკინგი“ ნიშნავს ადამიანთა გადაბირებას, ტრანსპორტირებას, გადაყვანას, შეფარებას ან მიღებას მუქარის, ძალის გამოყენების ან იძულების სხვა საშუალებებით, მოტაცებით, თაღლითობით, მოტყუებით, ძალაუფლების ან პირის უმწეობის ბოროტად გამოყენებით ან იმ პირის თანხმობის მისაღწევად თანხის ან სხვა სარგებლის მიცემით ან მიღებით, ვისი დამოკიდებულების ქვეშაქ იმყოფება მეორე პირი ამ ადამიანთა ექსპლუატაციის მიზნით.

მოცემული განმარტება კომპლექსურია და ასახავს ადამიანებით ვაჭრობის ყველა შესაძლო ასპექტს.

ექსპლუატაცია ნიშნავს:

ექსპლუატაცია, როგორც მინიმუმ, გულისხმობს სხვათა პროსტიტუციის ექსპლუატაციას ან სქესობრივი ექსპლუატაციის სხვა ფორმას, იძულებით შრომას ან მომსახურებას, მონობას ან მონობის მსგავს მდგომარეობას, მონურ შრომას ან ორგანოთა გადანერგვას.

იმისათვის, რომ მოვანდინოთ ადამიანის იდენტიფიცირება, როგორც ადამიანებით ვაჭრობის მსხვერპლისა, ჯერ უნდა განვიხილოთ განმარტება მისი შემადგენელი ნაწილების მიხედვით.

დანაშაულის დეფინიციიდან გამომდინარეობს მისი შემადგენელი სამი ნაწილი: ქმედება/დისპოზიცია: „ტრაფიკინგი“ ნიშნავს ადამიანთა გადაბირებას, ტრანსპორტირებას, გადაყვანას, შეფარებას ან მიღებას.

დანაშაულის ჩადენის სერსი: მუქარის, ძალის გამოყენების ან იძულების სხვა საშუალებებით, მოტაცებით, თაღლითობით, მოტყუებით, ძალაუფლების ან პირის უმწიკობის ბოროტად გამოყენებით ან იმ პირის თანხმობის მისაღწევად თანხის ან სხვა სარგებლის მიცემით ან მიღებით, ვისი დამოკიდებულების ქვეშაც იმყოფება მეორე პირი.

დანაშაულის ჩადენის მიზანი: ამ ადამიანთა ექსპლუატაციის მიზნით.

შენიშვნა ტრენერებისათვის: დეფინიციის განმარტებისას აუცილებლად უნდა მიექცეს ყურადღება იმ ფაქტს, რომ დანაშაულის ტრეფიკინგად კვალიფიკაციისათვის აუცილებლად უნდა ფიგურირებდეს შემაღგენლობის 2 კომპონენტი მაინც, რომელთა შორის ერთ-ერთი აუცილებლად უნდა იყოს დანაშაულის მიზანი (ექსპლუატაცია). ამავე დროს უნდა გაითვალისწინოთ, რომ არასრულწლოვანთა ტრეფიკინგის შემთხვევაში არ არის აუცილებელი დანაშაულის ჩადენის სერსის არსებობა, მთავარი პირობა დანაშაულის მიზანის არსებობაა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ადამიანებით ვაჭრობასთან დაკავშირებული მთელი რიგი სტერეოტიპებისა. პირველ რიგში ყველა თვლის, რომ ეს არის დანაშაული, რომელიც მხოლოდ სხვას ემართება და თვითონ მისგან დაცულია. ამავე დროს, ძალიან სწორად სდება ტრეფიკინგისა და პროსტიტუციის გაიგივება და მიჩნეულია, რომ ადამიანებით ვაჭრობის მსხვერპლი შეიძლება მხოლოდ ქალი გახდეს. იმის დასადასტურებლად, რომ ეს ასე არ არის, ქვევით მოყვანილია რამდენიმე ისტორია (ისტორიები გამოგონილია).

ტრენინგის დროს მონაწილეებს უნდა დაურიგდეთ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 1431, 1432, და 1433 მუხლების ასლები, რომლებშიც მოცემულია დანაშაულის განმარტება და გათვალისწინებული სასჯელი.




სავარჯიშო

სავარჯიშოს მიზანი: ტრენინგის I ნაწილის შემდეგ გაირკვეს, რამდენად გაიგეს მონაწილეებმა ადამიანით ვაჭრობის დანაშაულის არსი.

დაყავით მონაწილეები 3 ჯგუფად და დაურიგეთ შემდეგი ისტორიები:

- ისტორია 1. ლუსია და მარია ზაფხულში მოლდავეთიდან ესპანეთში წავიდნენ სამთვიან საზაფხულო სეკლში ენის შესასწავლად. ორი თვის შემდეგ მარიამ აღმოაჩინა, რომ მშობლების მიერ გამოტანებული ჯიბის ფული გაუთავდა. იმავე დროს, გოგონებმა ლამის კლუბში გაიცნეს ანაღვაზრდა მამაკაცი, რომელმაც მარიას შესთავაზა მამაკაცების ჟურნალში შიშველი სურათების გადაღება და დაპირდა, რომ ჟურნალისათვის შერჩეულ თითოეულ სურათში 300 ევროს გადაუხდოდა. მარიას უჭირდა გადაწყვეტილების მიღება, ეშინოდა, ვაი თუ თავის ქალაქში ენასათ ეს სურათები. საბოლოოდ მარია დასთანხმდა შემთავაზებას და რამდენიმე ფოტოც გადაიღო. ფოტოსესიის შემდეგ მარიამ ნაცვლად შეპირებული 300 ევროსი, თითოეულ სურათში მხოლოდ 200 ევრო მიიღო.
- ისტორია 2. ლუკა 10 წლის ბიჭი იყო, როდესაც მშობლები დაეღუპა. ამის შემდეგ ლუკა პურის საშოვნელად იძულებული იყო ქუჩაში ემათხოვრა. ერთხელ ლუკა ანამგაზრდა ქალმა შენიშნა და უთხრა, რომ თავისთან წაიყვანდა საცხოვრებლად და მოუვლიდა. ლუკა დასთანხმდა. რამდენიმე დღეში კი აღმოაჩინა, რომ მას მძიმე სამუშაო უნდა შეესრულებინა, რის ხანაცვლოდაც დღეში ერთხელ აქმევდნენ. ქალი, რომელმაც ის ქუჩაში შენიშნა უცებ გაქრა და ლუკას ის აღარ უნახავს. ბიჭს სახლის დატოვება არ შეეძლო და გაქცევის მცდელობის გამო სასტიკად სცემეს კიდევ. სამუშაოზე მასზე მოზრდილი ბიჭები ზედამხედველობდნენ და მთელ ნაშოვნ ფულს ართმევდნენ.
- ისტორია 3. კერძო დასაქმების სააგენტოს თანამშრომლებმა გიორგის თურქეთში არსებულ ერთ-ერთ ტანსაცმლის ქარხანაში შესთავაზეს მუშაობა. გზაზე მას აცნობეს, რომ სტამბულის ნაცვლად ის იზმირში მიჰყავდათ, რადგან სტამბულში უკვე სამუშაო ადგილი აღარ იყო. იზმირში ჩასვლისთანავე პასპორტი ჩამოართვეს და სარდაფში ჩაკეტეს, სადაც იატაკზე ეძინა. დღის განმავლობაში ტანსაცმლის ქარხნის ნაცვლად მშენებლობაზე ამუშავებდნენ და თავის გამომუშავებულ თანხას არ აძლევდნენ. თითქოსდა იმ მომსახურების სარჯების დასაფარად, რომელიც მისი თურქეთში ჩამოსაყვანად ვასწიეს.

მიეცით 5 წუთი და შემდეგი დავალები:

-  გააცანით 5 წუთის შემდეგ თქვენი ისტორია სხვა მონაწილეებს;
-  არის თუ არა თქვენთვის მოცემული ისტორია ადამიანით ვაჭრობის მაგალითი;
-  რატომ ფიქრობთ ასე.

ისტორიების პრეზენტაციისა და განხილვისათვის თითოეულ ჯგუფს მიეცით 5 წუთი.

მოცემული 3 ისტორიიდან მხოლოდ პირველი არ არის ტრეფიკინგის შემთხვევა. რაც შეეხება მეორე ისტორიას, აქ აშკარად ჩანს დანაშაულის ჩადენის მიზანი – არასრულწლოვანის ექსპლუატაცია, რის გამოც შეიძლება ეს საქმე ტრეფიკინგად ჩაითვალოს.

ტრენინგის ამ ნაწილზე ნუ დასარჯავთ 50 წუთზე მეტს.

ნაწილი II

ცნობიერების ამაღლება, როგორ შეიძლება ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის პრევენცია







მას შემდეგ, რაც გავარკვეით რა არის ადამიანით ვაჭრობა, საჭიროა ვიფიქროთ იმაზე, თუ როგორ შეიძლება ამ დანაშაულს ვებრძოლოთ. უპირველეს ყოვლისა, უნდა გავარკვეოთ რა რესურსები გვაქვს ჩვენ ამ დანაშაულთან საბრძოლველად. ამისათვის ჯერ-ჯერობით საჭიროა გავარკვეოთ, თუ რა რესურსები გააჩნიათ ტრენინგის მონაწილეებს, არიან ისინი სახელმწიფო თუ არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები; შეგვიძლია თუ არა ლობირება კანონმდებლობის შესაცვლელად; შეგვიძლია თუ არა დამნაშავეების დასჯა. უნდა ვიცოდეთ, ასევე, რა ფინანსური და ადამიანური რესურსები გავაჩნია ჩვენს მიერ არჩეული სტრატეგიის გასასორციელებლად.

ადამიანებით ვაჭრობის წინააღმდეგ საბრძოლველად აუცილებელია მისი პრევენცია. იმის გათვალისწინებით, რომ ეს უაღრესად რთული დანაშაულია და ხშირ შემთხვევაში მოითხოვს რამდენიმე სახელმწიფოს სამართალდამცავთა თანამშრომლობას მის გამოსაძიებლად და დამნაშავეთა დასასჯელად, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება პრევენციას.

მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება, როგორც პრევენციის საშუალება, დაფუძნებულია პრინციპზე, რომლის მიხედვითაც ადამიანისათვის ინფორმაციის მიწოდება მას საშუალებას აძლევს წინასწარ შეიცნოს, გაითვალისწინოს და თავიდან აიცილოს ტრეფიკერების მხრიდან მისი გადაბირების, იძულების ან მოტყუების მცდელობა. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მოსახლეობის ცნობიერების ზოგადი ამაღლება წარმოადგენს იმ წინაპირობას, რომლის გარეშეც შეუძლებელია ადამიანით ვაჭრობის მსხვერპლის იდენტიფიცირება, დახმარების გაწევა და ასევე, სასელმწიფოში პოლიტიკური ნების გამოვლენა ადამიანებით ვაჭრობის წინააღმდეგ საბრძოლველად. როგორც წესი, ცნობიერების ამაღლება სხვადასხვა მიზანს ემსახურება, მაგრამ თუკი მას ვიყენებთ პრევენციის მიზნით, მაშინ, როგორც წესი, ასეთი ღონისძიებები მიზნად ისახავენ მოსახლეობისათვის ადამიანით ვაჭრობის შესახებ ინფორმაციის მიწოდებას, ისე, რომ ამ ინფორმაციის საფუძველზე მიიღონ ინფორმირებული გადაწყვეტილება.¹






დანაშაულის პრევენციისათვის აუცილებელია მოსახლეობის ინფორმირება დანაშაულის შესახებ, საქიროა სავარაუდო რისკ ჯგუფებმა იცოდნენ ადამიანით ვაჭრობისა და მასთან დაკავშირებული საფრთხეების შესახებ. უნდა გვანსოვდეს, რომ ტრეფიკორების მსხვერპლად ხშირად იქცევა ადამიანი, რომელიც საკუთარი სოციალური პირობების გასაუმჯობესებლად მრავალ მსხვერპლზე წამსვლელია.

უპირველეს ყოვლისა მოსახლეობამ **მინიმუმ** უნდა იცოდეს:

-  რა არის ადამიანებით ვაჭრობა
-  რა მექანიზმები არსებობს ადამიანით ვაჭრობასთან საბრძოლველად
-  არსებობს თუ არა კანონი ადამიანებით ვაჭრობის წინააღმდეგ
-  ადამიანებით ვაჭრობის მსხვერპლი არ არის დამნაშავე
-  ადამიანით ვაჭრობის მსხვერპლი ნებისმიერი შეიძლება გახდეს
-  რა დახმარების გაწევა შეუძლია სასელმწიფოს ადამიანებით ვაჭრობის მსხვერპლთათვის






¹ Best Practices in Trafficking Prevention in Europe and Eurasia'. The report was produced for review by the Social Transition Team, Office of Democracy, Governance, and Social Transition of the United States Agency for International Development (USAID/E&E/DGST) by Nexus Institute, January 2009; available at http://www.usaid.gov/locations/europe_eurasia/dem_gov/docs/prevention_final_012909.pdf.

ამ მიზნის მისაღწევად შეიძლება ცნობიერების ამაღლების კამპანიის წარმართვა. ცნობიერების ამაღლება გულისხმობს სამიზნე ჯგუფისათვის კონკრეტული თემის შესახებ ინფორმაციის მიწოდებას. ცნობიერების ასამაღლებლად შეიძლება რამდენიმე მეთოდის გამოყენება (ქვემოთ მოცემული სია ამომწურავი არ არის):

-  შეხვედრების/სემინარების ორგანიზება
-  მასშედიით ინფორმაციის გავრცელება
-  საინფორმაციო მასალის დარიგება მოსახლეობისათვის
-  საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში საინფორმაციო მასალების განთავსება
-  სხვადასხვა PR კამპანიების მოწყობა, მაგ: გამოფენები, კონკურსები, პუბლიკაციების პრეზენტაცია და ა.შ.

ყოველივე ზემოთსენებული მიზნად უნდა ისახავდეს მოსახლეობისათვის კონკრეტული ინფორმაციის მიწოდებას. სწორად დაგეგმილი ცნობიერების ამაღლების კამპანია შედეგად მოიტანს დანაშაულის პრევენციას. მთავარი მიზანი საინფორმაციო კამპანიების ჩატარებისა არის ის, რომ ინფორმირებულ მოსახლეობას ადამიანებით ვაჭრობის საფრთხე უფრო ნაკლებად დაემუქრება.

ცნობიერების ამაღლების კამპანიების დაგეგმვისას ორგანიზაციამ უნდა გაითვალისწინოს:

-  ვინ არის მისი სამიზნე ჯგუფი.
-  რა ინფორმაცია სურს მიაწოდოს სამიზნე ჯგუფს.
-  უნდა არსებობდეს ლოგიკური კავშირი სამიზნე ჯგუფსა და მისთვის მიწოდებულ ინფორმაციას შორის.
-  რა დანშარების/მომსახურების გაწევა შეუძლია.
-  რა მიზნის მიღწევა სურს.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ პრევენციის მიზნით არა მხოლოდ ცნობიერების ამაღლების კამპანია შეიძლება განსორციელდეს. ძალიან სწორად, ტრეფიკინგის გამომწვევებზე მიზეზად ხასხელდება უმუშევრობა, დაბალი ანაზღაურება და ცუდი სოციალური პირობები. თუმცა, კვლევები ადასტურებს, რომ კავშირი ადამიანებით ვაჭრობასა და მსხვერპლის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას შორის საკმაოდ სუსტია. მსხვერპლთა პროფილის კვლევამ დაადგინა, რომ სწორ შემთხვევაში მსხვერპლი მუშაობდა სანამ ტრეფიკინგის მსხვერპლი გახდებოდა. მეორე მხრივ, აღნიშნული მიზეზის გასაანეიტრალებლად გამოიყენება დასაქმებისა და შემოსავლის გენერირების პროგრამები, როგორც

პრევენციის ერთ-ერთი მეთოდი. ასეთი მიდგომა მიზნად ისახავს პოტენციური მსხვერპლებისათვის სხვადასხვა სახის ტრენინგების ჩატარებას ან ტექნიკური განათლების მიცემას მათთვის საინტერესო სფეროში, რათა მათ შეძლონ ფინანსური დამოუკიდებლობის მიღწევა და ეკონომიკურ-სოციალური მიდგომა-რეობის გაუმჯობესება.¹

აღამიანებით ვაჭრობის პრევენციის მიზნით შეიძლება ყურადღების ცენტრში მოექცეს საზოგადოების ის კატეგორია, რომლებსაც მსხვერპლობისაკენ შეიძლება უბიძგოს არასელსაყრელმა სოციალურ-ფსიქოლოგიურმა პირობებმა. ასეთ შემთხვევაში ყურადღება ეთმობა არასრულწლოვნებს, რომლებიც შეიძლება განიცდიდნენ თავიანთ წრეში ოჯახურ პრობლემებს, ძალადობას, შეურაცხყოფას, სტიგმას. მსგავს შემთხვევებში პრევენციის მიზნით სამიზნე ჯგუფებისათვის იგეგმება ისეთი ღონისძიებები, რომლებიც მიზნად ისახავენ მათი პრობლემების დაძლევას, სოციალური უნარ-ჩვევების განვითარებას ადამიანებით ვაჭრობის რისკის შესამცირებლად.²

ადამიანით ვაჭრობის მსხვერპლზე მოთხოვნის შემცირება შეიძლება ასევე წარმოადგენდეს ადამიანებით ვაჭრობის პრევენციის ერთ-ერთ საშუალებას. ასეთი შემთხვევაში აქცენტი კეთდება კომერციული სექსის, სამშენებლო ბიზნესში, საფლის მეურნეობის სფეროებში მუშა-სელზე მოთხოვნის შემცირებაზე. განსორციელებული ღონისძიებები ფოკუსირებულია არიან მომხმარებლებზე, დამსაქმებლებზე, კლიენტებზე, საბოლოო პროდუქტის მომხმარებლებზე და მიზნად ისახავენ მათი ქცევისა და მოთხოვნის შეცვლას. აღსანიშნავია, რომ მოთხოვნის შემცირება არის პრევენციის პოლიტიკის ერთ-ერთი აუცილებელი შემადგენელი ნაწილი.³

დაცვა, როგორც პრევენცია: როგორც წესი, ადამიანებით ვაჭრობის მსხვერპლთა მნიშვნელოვანი ნაწილი კვლავ სდება ტრეფიკინგის მსხვერპლი (რე-ტრეფიკინგი). ამ მხრივ მნიშვნელოვანია იმ საკითხების კვლევა, თუ რა განაპირობებს ადამიანის რე-ტრეფიკინგს, ნუთუ ის გამოცდილება, რომელიც მან ერთსელ უკვე მიიღო მსხვერპლობისას არ არის საკმარისი, რომ ის, იმავე

¹ Best Practices in Trafficking Prevention in Europe and Eurasia'. The report was produced for review by the Social Transition Team, Office of Democracy, Governance, and Social Transition of the United States Agency for International Development (USAID/E&E/DGST) by Nexus Institute, January 2009; available at http://www.usaid.gov/locations/europe_eurasia/dem_gov/docs/prevention_final_012909.pdf.

² იქვე;

³ იქვე;

პრობლემაში სელმეორედ არ გაეხვევს?! თუმცა, როცა ტრეფიკინგის მსხვერპლი თავის საზოგადოებას უბრუნდება, მას უცვლელი სვდება ყველა ის პირობა, რამაც განაპირობა მისი მსხვერპლობა; ამავე დროს, ის დამატებით განიცდის სტერეოტიპებისა და სტიგმის უარყოფით ზეგავლენას. მსხვერპლი ზეწოლას ზოგჯერ საკუთარ ოჯახშიც კი აწყდება. ამიტომ, მსხვერპლისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნა და ეფექტური რეაბილიტაციისა და რეინტეგრაციის პროგრამების შექმნა უსრუნველყოფს მისი რე-ტრეფიკირების რისკის შემცირებას.¹

სისხლის სამართლებრივი დევნა, როგორც პრევენცია: კრიმინალური დაჯგუფებების წინააღმდეგ ბრძოლა, დანაშაულის პრევენციის ტექნოლოგია, ქონების კონფისკაცია წარმოადგენს პრევენციის მიზნით სისხლისსამართლებრივ დევნას. რიგ სახელმწიფოებში იზრდება სასამართლოს მიერ ტრეფიკერთა წინააღმდეგ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის აღსრულებათა რიცხვი, მაგრამ იმის მტკიცება, რომ აღნიშნული ქმედებები, ჯერ-ჯერობით, ატარებენ იმ მასშტაბებს, რომლებიც პრევენციის ეფექტს შექმნიდა, რთულია.²

შენიშვნა ტრენერებისათვის: იმისათვის, რათა დავრწმუნდეთ, რომ ტრენინგის შემდეგ მონაწილეები შეძლებენ ეფექტური ცნობიერების ამაღლების კამპანიის განხორციელებას, ჩაუტარეთ სავარჯიშო.

სავარჯიშო: 15 წუთის განმავლობაში მოხდინეთ თქვენი ორგანიზაციის რესურსების იდენტიფიკაცია (ფინანსური, ადამიანური, მატერიალური) და ორგანიზაციის პროფილიდან გამომდინარე მოიფიქრეთ ადამიანით ვაჭრობასთან დაკავშირებულ რომელ საკითხზე გსურთ მოსახლეობის ინფორმირება. განსაზღვრეთ სამიხსენე ჯგუფი. განსაზღვრეთ საკითხი და ის შედეგი, რომლის მიღწევაც გსურთ ერთი წლის ვადაში (შედეგი შეიძლება იყოს კონკრეტულ სოფელში ინფორმირებული მოსახლეობის რაოდენობის გაორმაგება; ადამიანით ვაჭრობის მსხვერპლისადმი პოზიტიურად შეცვლილი დამოკიდებულება და ა.შ.). დავალების პრეზენტაციისათვის თითოეულ ჯგუფს 5 წუთი დაუთმეთ.

შენიშვნა ტრენერებისათვის: დავალების მიზანია ტრენინგის ბოლოს თითოეულ ჯგუფში იყოს ცნობიერების ამაღლების კამპანიის კონკრეტული პროექტი.

¹ Best Practices in Trafficking Prevention in Europe and Eurasia'. The report was produced for review by the Social Transition Team, Office of Democracy, Governance, and Social Transition of the United States Agency for International Development (USAID/E&E/DGST) by Nexus Institute, January 2009; available at http://www.usaid.gov/locations/europe_eurasia/dem_gov/docs/prevention_final_012909.pdf.

² იქვე;

ნაწილი III

მასმედიის გამოყენება დანაშაულის პრევენციისათვის

საინფორმაციო კამპანიების წარმართვისათვის და მოსახლეობის ცნობიერების ასამაღლებლად კარგი საშუალებაა მასმედია. მასმედიით შეიძლება ინფორმაცია მიაწოდონო მოსახლეობის ისეთ მასებს, რომელთანაც მიღწევა შესუვედრების საშუალებით შეუძლებელია. მასმედიის საშუალებით ინფორმაციის გავრცელება იმიტომ არის ხელსაყრელი, რომ ერთდროულად დიდი რაოდენობით ადამიანი იგებს ინფორმაციას. სწორად დაგეგმილი კამპანია მასმედიის საშუალებით მოსახლეობაში შექმნის საკითხისადმი სასურველ დამოკიდებულებას და არა მარტო გაზრდის მის ინფორმირებულებას, არამედ, ხელს შეუწყობს დანაშაულის პრევენციას.

მედიის საშუალებით ინფორმაციას იღებს არა მხოლოდ ადამიანით ვაჭრობის პოტენციური მსხვერპლი და ფართოო საზოგადოება, არამედ, თვით ტრეფიკერიც. აღსანიშნავია, რომ ტრეფიკერები არიან საზოგადოების ის კატეგორია, რომელთან ურთიერთობა მხოლოდ სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენელთათვის არის ხელმისაწვდომი. ამავე დროს გასათვალისწინებელია ისიც, რომ დანაშაულის პრევენციისთვის არა მხოლოდ პოტენციური მსხვერპლის ინფორმირებაა საჭირო, არამედ ტრეფიკერებისაც. მათ უნდა იცოდნენ, თუ როგორ ებრძვის სახელმწიფო ამ დანაშაულს და რა სასჯელია გათვალისწინებული ამ დანაშაულის ჩადენისათვის. თუკი გავითვალისწინებთ, რომ საქართველოს კანონმდებლობა ძალიან მკაცრ სასჯელს ითვალისწინებს ადამიანით ვაჭრობის დანაშაულის ჩადენისათვის, ამ ინფორმაციის ტრეფიკერებამდე მიტანა გარკვეულწილად შეასუსტებს მათ აქტიურობას.



იმის გამო, რომ ყველა ორგანიზაციას, რომელიც ცნობიერების ამაღლების კამპანიას აწარმოებს შესუდეული რესურსები აქვს, მოქმედებათა უმეტესობა საზოგადოების ერთ რომელიმე სეგმენტზეა ორიენტირებული. მასმედიის გამოყენება ამ მიზნით აფართოებს სამიზნე ჯგუფს. მაგ: რადიოში ადამიანით ვაჭრობის შესახებ გადაცემებისა და განცხადებების გაკეთება საშუალებას იძლევა ინფორმაცია მივაწოდოთ იმ მძლოლებს, რომლებიც ამ კონკრეტულ რადიოსადგურს უსმენენ დღის განმავლობაში.

გასათვალისწინებელია ერთი გარემოება: მაშინ, როცა ტელევიზიათა უმეტესობა უფასოდ გასცემს საეთერო დროს სოციალური რეკლამის განსათავ-

სებლად, ტელევიზია არ არის ვალდებული გამოიყოს დრო ე.წ. პრაიმთაიმის პერიოდში, ანუ მაშინ, როცა ტელევიზიას ყველაზე ბევრი მაყურებელი ჰყავს.

იმის გათვალისწინებით, რომ მასმედიას შეუძლია საზოგადოებრივი აზრის ფორმირება, მისი მონაწილეობა ადამიანებით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლაში ძალიან მნიშვნელოვანია.

სავარჯიშო: მას შემდეგ რაც ჯგუფებში გაარკვევთ რა ინფორმაციის მიწოდება სურს ჯგუფს მოსახლეობისათვის და რა შედეგის მიღწევას ისახავს მიზნად, იმავე ჯგუფებში მონაწილეებს სთხოვეთ განსაზღვრონ:

-  რა მეთოდს/ლონისძიებას გამოიყენებენ ამ ინფორმაციის გასავრცელებლად
-  მედიის საშუალებას ჩართავენ თუ არა ამ პროცესში; თუ ჩართავენ, რა ფორმით

ამ დავალებისათვის და მისი პრეზენტაციისათვის ჯგუფებს სამუშაოდ შეგიძლიათ 35 წუთი დაუთმოთ.

ნაწილი IV ინტერნეტ რესურსების გამოყენება

თანამედროვე სამყარო წარმოუდგენელია ინტერნეტის გარეშე. ინტერნეტი გვთავაზობს ინფორმაციის მოძიებისა და გაცვლის განუსაზღვრელ შესაძლებლობას. ინტერნეტით მუდმივად შეგვიძლია განახლებული ინფორმაციის მოძიება, ისევე, როგორც საკუთარი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გავრცელება, ახალი პარტნიორების შეძენა და ა.შ.

ინტერნეტი ასევე წარმატებით შეიძლება იქნას გამოყენებული მოსახლეობის ცნობიერების ასამაღლებლად. სწორად დაგეგმილი სტრატეგიის არსებობის შემთხვევაში შესაძლებელია ინფორმაცია სამიზნე ჯგუფამდე საკმაოდ ეფექტურად მივიტანოთ. ამის მაგალითად გამოგვადგება საქართველოში ქრისტიანული ორგანიზაცია World Vision Georgia-ს მიერ გაკეთებული განცხადება დასაქმებისთვის განკუთვნილ ვებ-გვერდზე www.jobs.ge აღსანიშნავია, რომ აღნიშნული ვებ-გვერდი არის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული საშუალება საქართველოში ვაკანსიების გავრცელებისათვის. მსგავს ვებ-გვერდზე განცხადების განთავსებით, World Vision Georgia-მ უზრუნველყო ინფორმაციის მი-

წოდება ყველა სამსახურის მაძიებელი ადამიანისათვის, რომელიც აღნიშნულ ვებ-გვერდს მიმართავს.

თუმცა გასათვალისწინებელია, რომ ინტერნეტ მომხმარებელთა რაოდენობა საქართველოში ჯერ კიდევ საკმაოდ შეზღუდულია.

მეორე მხრივ, ინტერნეტი საშუალებას იძლევა ერთმანეთს დაუკავშირდეს სხვადასხვა ადამიანი, გაცვალოს ინფორმაცია და მიიღოს მუდმივად განახლებული ინფორმაცია.

ნაწილი V

პრევენციის პრობლემები

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს მიერ განხილული სტრატეგიები გამიზნულია ადამიანებით ვაჭრობის პრევენციისთვის, არსებობს პრობლემების მთელი რიგი, რომლებიც ხელს უშლის დაგეგმილი საქმიანობის წარმატებას.

შენიშვნა ტრენერებისათვის: ამ ეტაპზე, მონაწილეებს სთხოვეთ თავიანთ ჯგუფებში მოიფიქრონ ის შესაძლო პრობლემები, რომლებიც ხელს შეუშლის მათ მიერ დაგეგმილი სტრატეგიის წარმატებით განხორციელებას. ამავე დროს, სთხოვეთ თითოეული პრობლემის გადაჭრის მინიმუმ ორი გზა შეიმუშაონ.

მოცემულ აქტივობას და მის პრეზენტაციას 30 წუთი დაუთმეთ.

როგორც წესი, პრევენციის მიზნით ჩატარებული ღონისძიებების ეფექტურობის გაზომვა საკმაოდ რთულია. შესაბამისად, იმის განსაზღვრა, თუ რომელი ღონისძიება არის უფრო ეფექტური და რომელი არა, ძალიან რთულია. ამ შემთხვევაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ღონისძიებაში მონაწილეთა შეფასებას და მათ აზრს.

ამავე დროს, გასათვალისწინებელია ისიც, რომ ყოველთვის ვერ სერსდება სამიზნე ჯგუფის სწორად შერჩევა და მისთვის შესაბამისი ინფორმაციის მიწოდება. როგორც წესი, განხორციელებული ღონისძიების ეფექტურობა დამოკიდებულია სამიზნე ჯგუფისათვის მისთვის შესაფერისი და საინტერესო ინფორმაციის მიწოდებაზე.

პრევენციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა ის გახლავთ, რომ ამ მიზნის მისაღწევად საჭიროა დიდი დრო და თანმიმდევრული ქმედებების განხორციელება. პრევენციის მიზნით საინფორმაციო კამპანიის განხორციელება ერთჯერად ორჯერ არ არის საკმარისი. საჭიროა ხანგრძლივი და რეგულარული მუშაობა, რათა სამიზნე ჯგუფმა არა მხოლოდ მიიღოს და გაიაზროს ინფორმაცია, არამედ გაითავისოს ის და შესაბამისად შეცვალოს თავისი ქცევა.

ადამიანებით ვაჭრობის პრევენციისათვის გატარებული ღონისძიებები დანაშაულის კომპლექსურობიდან და სამიზნე ჯგუფების სიმრავლიდან გამომდინარე საჭიროებს დიდ რესურსებს, როგორც ფინანსურს, ასევე ადამიანურს.

მიუხედავად იმისა, რომ ადამიანებით ვაჭრობის პრევენციის მიზნით განხორციელებული ღონისძიებები საკმაოდ პოპულარობით სარგებლობენ, რთულია ამ ღონისძიებებსა და დანაშაულის რაოდენობის კლებას შორის კავშირის დადგენა.

ნაწილი VI

ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) პრევენცია, საერთაშორისო პრაქტიკა

მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში სორციელდება ადამიანებით ვაჭრობის წინააღმდეგ მიმართული პრევენციის პოლიტიკა. ამ პროცესში ადამიანები და ორგანიზაციები იღებენ გამოცდილებას, სწავლობენ რომელ მეთოდს აქვს წარმატება და რომელს – არა. ამ პროცესში იქმნება ის წარმატებული პოლიტიკა, რომელიც გამოიწვევს ადამიანებით ვაჭრობის შემცირებას. მიუხედავად იმისა, რომ რთული სამტკიცებელია კავშირი პრევენციასა და ადამიანებით ვაჭრობის შემცირებას შორის, პრევენცია არის გზა, რომელსაც შეუძლია თავიდან ააცილოს ტრეფიკინგის მსხვერპლობის სიმწარე უამრავ ადამიანს.

აქვე პრევენციის მიზნით განხორციელებულ რამდენიმე მაგალითსაც მოვიყვან.

კოსოვოში მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციამ ჩაატარა ცნობიერების ამაღლების კამპანია მიმართული იმ კაცებისადმი, რომლებიც რეგულარულად იყენებდნენ კომერციული სექსის მუშაკების მომსახურებას. კამპანია მიზნად ისახავდა კოსოვოში მცხოვრები უცხოელებისათვის ტრეფიკინგის დაგმობის გრძნობის გამძაფრებას, ტრეფიკინგის მსხვერპლი ქალისაგან მომსახურების მიღების

დაგმობას და იმის გაცნობიერებას, რომ ბარებისა და ბორდელების სწორი სტრუქტურა თავისი არსით ტრეფიკინგის ხელშეწყობა იყო. ამ კამპანიის შედეგად გაეროს მისიამ კოსოვოში (UNMIK) შექმნა ქცევის კოდექსი თავისი თანამშრომლებისთვის (Araujo-Forlot, 2002)¹. სხვა ანგარიშების მიხედვით შემცირდა ბორდელებში უცხოელი მამაკაცების ვიზიტები (SIDA, 2003), თუმცა, რთული სამტკიცებელია, ეს შემცირება კამპანიის შედეგი იყო, თუ გაეროს ძალების შემცირებისა.²

უკრაინის მთავრობამ შეიმუშავა პროგრამა, რომელიც დროებით უმუშევარ მოსახლეობაში ხელს უწყობს მეწარმეობის განვითარებას ერთჯერადი ფულადი დახმარების გაწევით. პროგრამაში მონაწილეებს უტარდება შესაბამისი ტრენინგები. ამავე დროს, შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია მონაწილეობს პროგრამაში და ხელს უწყობს ტრეფიკინგის პრევენციას ყოფილი მსხვერპლებისა და სხვა უმუშევარი ქალების დასაქმებით. იმის გამო, რომ ბევრი არ ენდობა სახელმწიფოს მიერ გაწეულ დახმარებას, პროგრამა მუშაობს იმ მიმართულებითაც, რომ მოსახლეობას სახელმწიფო დასაქმების ცენტრებთან თანამშრომლობის ნდობა გაუზიარდეს. მონაწილეებს შეუძლიათ აირჩიონ ბიზნესის განვითარების ან სამსახურის მოძიების უნარ-ჩვევების ტრენინგები. თუკი აირჩევენ სამსახურის მოძიების უნარ-ჩვევების ტრენინგებს, მაშინ ამ ტრენინგებს სახელმწიფო დასაქმების ცენტრები ატარებენ და შემდეგ დასაქმებაშიც ეხმარებიან. თუკი აირჩევენ ბიზნეს ტრენინგებს, მაშინ მოხდება მათი ბიზნეს გეგმების განხილვა სანამ მცირე სესხი გაიცემა. ამავე დროს, ისინი ვინც შესაბამის მოთხოვნებს აკმაყოფილებენ, მიიღებენ ასევე უმუშევრობის ერთჯერად ფულად დახმარებას, როგორც მიღებული სესხის დამატებას.³ თუმცა, ჯერ-

¹ Araujo-Forlot, A. 'Prevention, Protection, and Assistance Schemes to Victims of Trafficking: Policy and Examples of IOM Prevention and Return and Reintegration Programs'. IOM: Vienna. Retrieved June 30, 2004, from <http://www.belgium.iom.int/STOPConference/relevantdocs/011%20IOM%20Vienna%20A.%20Araujo-Forlot.pdf>.

² Rosenberg, Ruth, 'Best Practices for Programming to Prevent Trafficking in Human Beings in Europe and Eurasia', report made through support provided by the Office of Women in Development, Bureau for Economic Growth, Agriculture, and Trade (EGAT/WID), USAID, September 2004 <http://www.vitalvoices.org/files/docs/Prevention%20assessment%20Report-formatted%20CAS1.pdf>

³ Rosenberg, Ruth, 'Best Practices for Programming to Prevent Trafficking in Human Beings in Europe and Eurasia', report made through support provided by the Office of Women in Development, Bureau for Economic Growth, Agriculture, and Trade (EGAT/WID), USAID, September 2004 <http://www.vitalvoices.org/files/docs/Prevention%20assessment%20Report-formatted%20CAS1.pdf>.

ჯერობით ამ პროგრამის გავლენა ადამიანებით ვაჭრობის შემცირებაზე არ არის დადგენილი და საჭიროებს კვლევას. მეორე მხრივ, ეს მთავრობისა და საერთაშორისო ორგანიზაციის თანამშრომლობის კარგი მაგალითია.

შეჯამება

ტრენინგის ბოლოს შეგვიძლია შევაჯამოთ შედეგები. პირველ რიგში დავიწყოთ ჯგუფებში შექმნილი ცნობიერების ამაღლების კამპანიათა გეგმების პრეზენტაციით. თითოეულ ჯგუფს მხოლოდ 5 წუთი დაუთმეთ პრეზენტაციისათვის.

ამის შემდეგ გაარკვიეთ, რამდენად უპასუნა ტრენინგმა მონაწილეთა მოლოდინებს და მათ რომელ შეკითხვებს გაეცა პასუხი. ბოლოს, შეგიძლიათ რამდენიმე წუთი ტრენინგის შეფასებასაც დაუთმოთ.

მსხვერპლთა დახმარება

✦ ალექსანდრა დელემენჩუკი

სანელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ იმ პირთა დაცვა, რომლებიც ადამიანებით ვაჭრობის მსხვერპლად იქცნენ, მათი მომავალი ექსპლუატაციისა და ზიანის თავიდან აცილების მიზნით, ასევე უზრუნველყონ ფიზიკური და ფსიქოლოგიური ჯანმრთელობის დასაცავად ადეკვატურ მომსახურებაზე მათი სელმისაწვდომობა. ასეთი დაცვა და დახმარების სურვილი არ უნდა იყოს დამოკიდებული ადამიანებით ვაჭრობის მსხვერპლის სურვილზე, ითანამშრომლოს სამართალდამცავ ორგანოებთან¹.

დაცვისა და დახმარების სახეები

თავიანთ მსხვერპლზე კონტროლის მოპოვების მიზნით ტრეფიკერები უზღუდავენ მათ ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ, მორალურ, სოციალურ და ეკონომიკური რესურსების სელმისაწვდომობას. ამიტომ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა დაცვა და მათი დახმარება მოითხოვს კომპლექსურ მიდგომას, რომელიც გაითვალისწინებს მათ საჭიროებებსა და მოთხოვნილებებს მთლიანობაში.




დაცვის ძირითად სახეებს, რომელსაც, როგორც წესი, საჭიროებენ ადამიანით ვაჭრობის მსხვერპლები, მიეკუთვნება:

უსაფრთხოების უზრუნველყოფა: 1) განთავსება უსაფრთხო ადგილას; 2) კვების პროდუქტების მიწოდება; 3) ფსიქოლოგიური დახმარების გაწევა.

¹ გაეროს ადამიანის უფლებებთა უმაღლესი კომისრის სამმართველო, რეკომენდირებული პრინციპები და სასელმდგენლო დებულებები ადამიანის უფლებებისა და ადამიანით ვაჭრობის საკითხებზე; (სასელმდგენლო დებულებები 1).

სელმისაწვდომობა ჯანდაცვის მომსახურებაზე: ფიზიკური სენი და დაავადება ადამიანით ვაჭრობის მსხვერპლებში სშირად ქრონიკული სასიათისაა, რამდენადაც, მომავალი ვაჭრობის მსხვერპლი ფაქტობრივად მოკლებულია სამედიცინო დახმარებას.

სამართლებრივი დახმარება: ადამიანით ვაჭრობის მსხვერპლებს ესაჭიროებათ ინფორმაცია და კონსულტაცია შემდეგ საკითხებზე:

-  სასამართლო პროცესში მინაწილეობის მიღების ან მონაწილეობაზე უარის შესახებ გადაწყვეტილების მიღება;
-  შესაძლო კითხვები ბინადრობის სტატუსის შესახებ (ანუ აქვთ თუ არა მათ შესაძლებლობა დროებით ან მუდმივად იმყოფებოდნენ დანიშნულების ქვეყანაში კანონიერად და ა.შ.);
-  წარალის/წიანის ანაზღაურების მოთხოვნის შესახებ ინფორმაციის მიღება.

სოციალური მომსახურება: ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლებს სშირად სელი არ მიუწვდებათ სოციალური მომსახურების სისტემებთან და ასევე სშირად აწყდებიან სტიგმატიზაციას ადგილობრივი თემის წარმომადგენლებისა და ნათესავების მხრიდან, რასაც მიყვავართ მათ კიდევ უფრო დიდ იზოლაციასთან. აამიტომ, ადამიანით ვაჭრობის მსხვერპლთა სამწუნარო მდგომარეობის გათვალისწინებას, სოციალურ მომსახურებასა და მსარდაქერას აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა მათი საზოგადოებრივ ცხოვრებაში წარმატებული რეინტეგრაციისათვის.

დასაქმების შესაძლებლობა, განათლების მიღება და პროფესიული მომზადება: უმეტეს შემთხვევაში ადამიანები ტრეფიკინგის მსხვერპლნი სდებიან მათი ეკონომიკური შესაძლებლობის შეზღუდულობის გამო. მსხვერპლის/დაწარალელების დაბრუნება თემში არ ამცირებს იმის რისკს, რომ ისინი კვლავ არ გასდებიან ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლები, თუკი მათ არ მიეცემათ შესაძლებლობა, მიიღონ დამატებითი ცოდნა და უწარჩვევები, რაც გაწრდის მათ ეკონომიკურ შესაძლებლობას სამშობლოში. ამიტომ ერთიანი მიდგომა უწდა ითვალისწინებდეს ადამიანით ვაჭრობის მსხვერპლთა დასაქმების, განათლების დონის ამაღლებისა და პროფესიონალური გადამზადების პროგრამების რეალიზაციას.

მნიშვნელოვანი რეკომენდაციები ითვალისწინებს:

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა დაცვის კომპლექსური სისტემის შექმნასა და მათ დახმარებას – მსხვერპლთა იდენტიფიკაციას, მათ თავ-

შესაფარში განთავსებასა და სოციალური რეინტეგრაციისთვის მათ შემდგომ დახმარებას. ამ სისტემაში ჩართული უნდა იყოს: 1) სახელმწიფო ორგანოები; 2) სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციები; 3) საერთაშორისო ორგანიზაციები.

აღამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა დახმარების მიზნით სისტემატიურ ურთიერთქმედებათა ფორმების შემუშავება და ინფორმაციის გაცვლის მექანიზმების შექმნა სახელმწიფო სტრუქტურებსა (სამართალდამცავი ორგანოები, სამიგრაციო სამსახური, საზღვრის დაცვის სამსახური, სოციალური დაცვის ორგანოები, საგარეო საქმეთა სამინისტრო, განათლების და ჯანდაცვის ორგანოები და ა.შ.) და არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის, რომელიც ითვალისწინებს არასამთავრობო ორგანიზაციების ფინანსირების სქემებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან და არასაბიუჯეტო ფონდებიდან. მაგალითად, ხელშეკრულების საფუძველზე სოციალური შეკვეთების სისტემიდან, რომელიც ითვალისწინებს გამჭვირვალე მექანიზმებს პასუხისმგებლობებისა და ფინანსირების ნაწილში.

არასამთავრობო ორგანიზაციების მხარდაჭერა მათი პოტენციალის გაძლიერების მიზნით აღამიანით ვაჭრობის მსხვერპლთა სოციალური რეინტეგრაციის უზრუნველსაყოფად; არასამთავრობო ორგანიზაციების მუშაობისა და მათ მიერ გაწეული დახმარების შესახებ მასშტაბში ინფორმაციის განთავსება.

მოწმეთა დაცვის პროგრამების გაფართოება

მაგალითად: იტალიაში განსორციელდა პროგრამა, რომელმაც საშუალება მისცა საზღვარგარეთის მოქალაქეებს ემუშავათ და ესწავლათ იტალიაში და მიეღოთ ქვეყანაში მუშაობის ოფიციალური ნებართვა¹. პროგრამა ასევე ითვალისწინებს დაზარალებულისთვის ჯანდაცვის კომპლექსური მომსახურების გაწევას. პროგრამით გათვალისწინებულია შემდეგი პირობები: დაზარალებული უნდა გამოვიდეს მოწმის სახით ან მისცეს ჩვენება სავარაუდო ტრეფიკერთა წინააღმდეგ. დაზარალებული, რომელიც უარს იტყვის აღნიშნულ პროგრამაში მონაწილეობაზე, მაინც უზრუნველყოფილი იქნება სამედიცინო დახმარებით, მაგრამ რამდენიმე წნის შემდეგ მას დააბრუნებენ სამშობლოში.

¹ The Illegal Trafficking in Hazardous Waste in Italy and Spain: Final Report Gruppo Abele-Nomos, Legambiente, GEPEC-EC (managing editor: Monica Massari) Rome, Italy: 2003 dasavleT da aRmosavleT evropis qveynebis erToblivi kvleva evropaSi seqsualuri eqspluataciis mizniT bavSvebiT vaWrobis problemaze.

როულია ჩვენების მიღება იმ უცხოელი მოქალაქეებისგან, რომლებიც ადამიანით ვაჭრობის მსხვერპლნი გახდნენ, რადგანაც მათ ეშინიათ შურისძიების და ცდილობენ სამშობლოში დაბრუნებას. ადამიანით მოვაჭრეთა წინააღმდეგ ჩვენების მიცემისთვის სპეციალური სტიმულის შეტანა სამართალდამცავ ორგანოებს საშუალებას მისცემს გაიზარდოს ამ დამნაშავეთა წინააღმდეგ სისხლის სამართლის გამოძიების ეფექტურობა.

